საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდროინდელი სიფცქვაა, ფცქიოლებით და ჭოჭოებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 28 ოქტომბერი. 2016 წ. №201 (8093), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ხალხი – ხელისუფლების გვერდით, ხელისუფლება – ხალხთან ერთად!

თითოეულმა ჩვენგანმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ხმას ვაძლევთ „ქართულ ოცნებას“ არა როგორც ერთ-ერთ რიგით პოლიტიკურ პარტიას, არამედ როგორც საქართველოს უკეთესი მომავლის დასაყრდენ პოლიტიკურ ძალას!

ნატო-საქართველო — რა ვქნათ, რა წყალში ჩავვარდეთ!

- ჯონ მირშაიმერი: უკრაინისა და საქართველოს მთავრობებმა ხალხს უნდა აუხსნას, რომ თუ ნატოში გაწევრების პროცესს დაიწყებენ, მათი სახელმწიფოები განადგურდებიან — 3
- იენს სტოლტენბერგი: საქართველოსთან ურთიერთობის გაღრმავება ნატოს ინტერესებში შედის — 8
- რეჯეფ ტაიპ ერდოღანი: გულში გავლებული საზღვრები — 8
- პაატა ქურდაძე: ასეთ ტარაკნებზე ფულის დახარჯვა არ ღირს, ჯობს, ისევ კანალიზაციის მილებში იძრომიალონ... — 2

პოლიტიკური ტაკი-მასხარა



4

შალვა ნათელაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დავა დაიწყება!

შალვა ნათელაშვილის წინააღმდეგ შესაძლოა სისხლის სამართლებრივი დავა დაიწყოს. მემარცხენე ალიანსის წევრები იოსებ შატბერაშვილი და კახა ძაგანია „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერს ცილისწამებაში ადანაშაულებენ.

„ცილისმწამებლური განცხადებებია, რომ თითქოსდა იოსებ შატბერაშვილი ე.წ. ნარკობარიგაა და კახა ძაგანია თითქოს მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. ნებისმიერი ასეთი ქმედება სისხლისსამართლის წესით ისჯება, იმედია მალე დავამტკიცებთ, რომ ეს ადამიანი არის გამოუსწორებელი ცილისმწამებელი,“ — განაცხადა გუშინ მემარცხენე ალიანსის წევრმა ელზა ჯმუხაძემ.

მიწათმოქმედთა ქვეყანა

6

სოფლის მეურნეობის ბიუჯეტი 2017 წელს

მკითხველი მოითხოვს!

ქუთათურებო, წერეთელი, ბობოხიძე და თევდორაძე პოლიტიკიდან უნდა განდევნოთ!

5

ქუთაისს ძალიან სჭირდება იუმორის სასახლე!

დიდი მამულიშვილი

„მე ქართველი ვარ, საქართველოსთვის ვარ, ამის მეტი არაფერი ვიცი“

9

ევროკავშირი რეფორმებისთვის 30 მილიონი ევროთი გვეხმარება

ევროკავშირი საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმირებისთვის, 30 მილიონი ევროს ოდენობის გრანტს გამოუყოფს, — ხელშეკრულების დეტალებზე საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და ევროკავშირის ელჩი იანოშ ჰერმანი დაგეგმილ ბრიფინგზე ისაუბრებენ.

როგორც მთავრობის მეთაურმა განაცხადა, მმართველობის რეფორმა ხელისუფლების რეფორმების ოთხპუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა და ამ კუთხით ევროკავშირის სპეციალური დახმარება მისასალმებელია.

„ეს ხაზს უსვამს იმას, რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოში ევროპული ტიპის მმართველობითი ინსტიტუციების ჩამოყალიბება. ჩვენ ძალიან დიდი ძალისხმევის გაწევა მოგვიხდება ამ მიმართულებით, რათა ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები სრულად შესრულდეს და საქართველოს ჰქონდეს ისეთი მმართველობა, რომელიც ითვალისწინებს ევროპულ კანონმდებლობას, ევროპულ რეგულაციებს და მმართველობის პროცესში თითოეული მოქალაქის ჩართულობას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირანის სავაჭრო-სამრეწველო პალატის დელეგაცია საქართველოში

საქართველოს ირანის სავაჭრო-სამრეწველო პალატის, ქალაქ მეშჰედის დელეგაცია სტუმრობს. დელეგაცია 16 კომპანიის წარმომადგენლისგან შედგება, რომელთა შორის საქვეყნოდ ცნობილი კომპანიები არიან.

დელეგაციის წევრები წარმოადგენენ ირანის ბიზნესის ისეთ სფეროებს როგორებიცაა: ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ნავთობროდუქტები.

ირანელი ბიზნესმენების საქართველოში ძირითად ინტერესის სფეროებს წარმოადგენს: ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, საკვები პროდუქტები და ა.შ. და ბიზნეს-პროექტებში მონაწილეობა.

ქართული ოცეული უელსიდან ვერცხლის მედლით დაბრუნდა

საქართველოს შეიარაღებული ძალების სპეციალური ოპერაციების ძალების რეინჯერთა ბატალიონის დაზვერვის ოცეული უელსიდან ვერცხლის მედლით დაბრუნდა. დიდ ბრიტანეთში გამართულ სწავლებაში „Cambrian Patrol 2016“ ქართულმა ოცეულმა მედალი 48 საათის განმავლობაში 61-კილომეტრიანი დისტანციის დაფარვისა და ამ მარშრუტზე 10 სახის სადაზვერვო დავალების შესრულებაში მოიპოვა. ქართველ სამხედროებს ჯილდო მე-6 ბატალიონის მეთაურმა, ვიცე-პოლკოვნიკმა ჯონ პენელმა გადასცა.

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა „Cambrian Patrol“-ში წელს უკვე მესამედ მიიღო მონაწილეობა.

სწავლებაში საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფთან ერთად მონაწილეობა მიიღო ლატვიის, მექსიკის, ნეპალის, კანადის, იტალიის, გერმანიის, პაკისტანის, ავსტრალიის, ჩეხეთის, ახალი ზელანდიის, ინდოეთის, ირლანდიის, ბოსნია და ჰერცოგოვინას, ბელგიის, ჩილეს, ბრაზილიის, კოსოვოსა და შვეიცარიის 140-მდე საპატრულო ჯგუფმა.

პაატა ქურდაძე:

ასეთ ტარაკნებზე ფულის დახარჯვა არ ღირს, ჯობს, ისევ კანალიზაციის მილებში იძრომიალონ...

მწერალი პაატა ქურდაძე სოციალურ ქსელში ასეთ სტატუსს აქვეყნებს:

„აი, იმ ხალხზე — „ჩემი ცოლის დაქალები“ რომ „ჟიზნენი“ სერიალად ეჩვენებათ, მისი სცენარისტი — ტონინო გუერადა... ხაინდრავას „ჰეროკრატიას“ კი ძალიან ცუდად გადაღებულ, უსარგებლო პროპაგნდისტულ სისასტიკედ თვლიან. ერთმანეთს რომ აბოლებენ, ვინ რამდენი წუთით ნაკლები უყურა „ჰეროკრატიის“ ახალ სერიას — „მე შვიდი წუთი ვუყურე!“ — „რას ამბობ, ამდენი რამ გაგაძლებინა, მეხუთე წუთზე გამოვრთე!“ — „მე მესამეზე!“... და, თან ყველა ეპიზოდი ზეპირად რომ იციან... განსაკუთრებით ყველაზე სასტიკ სცენებზე რომ ლაღობენ, იფხრიწებიან გენდერულად დაბალანსებული პოლიტკორექტული სიცილით.

არა, კი იციან, რომ ეს ეპიზოდები რეალურ ისტორიებზეა დაფუძნებული, მაგრამ ცდილობენ, ტრაგედიებზე მაღლა, თავიანთ სიმწრით შეკოწიწებულ ერთი ციცქნა პიედესტალებზე შემოსკუპდნენ, თავიანთი ცივი, 90-იანებში ტელევიზორიდან ათვისებული დამწვარი ზეთისა და კომბოსტოს სუნიანი „ექსტრავაგანტური“ მანჭვა-გრეხით... ორი-სამი ტრიერი, ერთი-ორი ალმადოვარი, პაზოლინი... არაფრით არ აძლევს საშუალებას ვიღაც იდიოტის „ცოლის დაქალების“ „ჟიზნენობას“ გასცდნენ!.. აი, ამ ხალხზე კი გაიკეთებდა კაცი ახალ სერიალს სახელწოდებით „ტრაკოკრატია“, მაგრამ ასეთ ტარაკნებზე ფულის და ენერგიის დახარჯვა არ ღირს, ისევ კანალიზაციის მილებში იძრომიალონ, ჯობია, ხანდახან რომელიმე ბინძურ სამზარეულოში მაინც ჩასასტავდებიან და თავს თავიანთ აღთქმულ „დასავლეთში“ იგრძნობენ.

P.S. **გუშინ და დღეს რამდენიმე ასეთ გულისამრევ სტატუსს და კიდევ უარეს კომენტარებს წავაწყდი...“** — წერს პაატა ქურდაძე.

◎ სარედაქციო ფოსტიდან

თხოვნა

საქართველოს პროკურატურას!

მოგმართავთ თხოვნით და ხალხისგან წამოსული შეკითხვით: მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ სანდრა რულოვსის ჯანდაცვის დარგში „ქველმოქმედების“ გამოძიება?

დადასტურების შემთხვევაში, რამდენად გამართლებულია მისი დეპუტატობა საქართველოს პარლამენტში, როგორც კანონიერების, ისე ზნეობრიობის თვალსაზრისით?

ლონდა მდივანი

იწყება სამტრედია-გრიგოლეთის გზის მშენებლობა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, E60 ავტომაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის გზის მესამე მონაკვეთის მშენებლობას იწყებს. მშენებლობისთვის საერთაშორისო ტენდერში მონაწილეობის მისაღებად მოწვევა უკვე გამოცხადდა.

სამტრედია-გრიგოლეთის გზის 12-კილომეტრიანი მონაკვეთის (ლოტი 3) მშენებლობას ევროპის საინვესტიციო ბანკი აფინანსებს. პროექტი 4-ზოლიანი ასფალტ-ბეტონის გზის, 6 სახიდე გადასასვლელის, 2 სატრანსპორტო კვანძის, საქონლისა და საველე გასასვლელების მშენებლობას ითვალისწინებს. გზის აღნიშნული მონაკვეთი გურიის რეგიონში ქ. ლანჩხუთსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებს გაივლის.

სამტრედია-გრიგოლეთის გზა (სულ 52 კმ-იანი მონაკვეთისაგან შედგება) ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი-სამტრედიის გზის 42-ე კმ-ზე, მდ. ოჩოფასთან

იწყება და გრიგოლეთის ტერიტორიაზე, მდინარე სუფსასთან მთავრდება. აღნიშნული გზის ჩქაროსნულ მაგისტრალად მოდერნიზების პროექტი 4 მონაკვეთად (ლოტად) ხორციელდება. პირველ, მეორე და მეოთხე მონაკვეთზე სამუშაოები უკვე მიმდინარეობს.

პროექტის განხორციელების ვადები 2016-2018 წლებია.

ასკანა-მშვიდობაური-ბახვის გზაც კეთილმოეწყობა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ასკანა-მშვიდობაური-ბახვის 7 კმ-იანი გზის რეაბილიტაციას ახორციელებს. პროექტი დაფინანსდა ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ და მისი ღირებულება 3,751,602.92 ლარია.

რეაბილიტაცია ითვალისწინებს გზის საფარის აღდგენას, სახიდე გადასასვლელების და ხელოვნური ნაგებობების მოწყობას. ცენტრალურ მოედანზე მოეწყობა უსაფრთხოების კუნძულები, ბორდიურებითა და ტროტუარებით, ეკლესიასთან დაგეგმილია ავტოსადგომის მოწყობა, მოინიშნება სავალი ნაწილი და დამონტაჟდება საგზაო ნიშნები. 7კმ-იანი გზის სიგანე 5,5 მ-ია. ამჟამად, ობიექტზე დასაქმებულია 35 ადამიანი. სამუშაოები 2016 წლის სექტემბერში დაიწყო და დასრულება 2017 წლის გაზაფხულზე იგეგმება.

ომალოს აეროდრომი ექნება

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ომალოში აეროდრომის პროექტირება იწყება.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, შიდა ავიაციის განვითარება ქვეყნის სივრცითი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

„ჩვენი მიზანია, საქართველოში იყოს რაც შეიძლება მეტი მცირე აეროდრომი, იმისთვის, რომ უპირველეს ყოვლისა, ჩვენმა მოსახლეობამ და, რა თქმა უნდა, ტურისტებმა ისარგებლონ. ეს იქნება უფრო მეტი დასაქმებული ადამიანი და მეტი კეთილდღეობა თითოეული ჩვენგანის ოჯახში. ამ შემთხვევაში, ეს, გულისხმობს თუშეთს, რომელიც საქართველოს მარგალიტია თავისი განსაკუთრებული კულტურული მემკვიდრეობით. ასევე, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ტურიზმის განვითარებისა და ქვეყნის უსაფრთხოებისთვის“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და იმედი გამოთქვა, რომ ომალოში ასაფრენი ზოლისა და აეროპორტის მშენებლობა უახლოეს მომავალში დასრულდება.

გიორგი კვირიკაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ მაღალი ტემპებით მიმდინარეობს ამბროლაურის აეროპორტის ტერმინალის მშენებლობა, რომელიც, სავარაუდოდ, ახალი წლისთვის დასრულდება.

ჯონ მირშაიმერი: უკრაინისა და საქართველოს მთავრობებმა ხალხს უნდა აუხსნას, რომ თუ ნატოში გაწევრების პროცესს დაიწყებენ, მათი სახელმწიფოები განადგურდებიან



რუსულ გამოცემა „Коммерсантъ“-თან ვრცელ ინტერვიუში ჩიკაგოს უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორი ჯონ მირშაიმერი გაზეთ „კომერსანტის“ კორესპონდენტთან მიხეილ კოროსტიკოვთან საუბრობს დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობაზე, მათ შორის შექმნილი კონფრონტაციის მიზეზებზე, უკრაინისა და საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე და სხვა საკითხებზე.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამონარიდს ინტერვიუდან:

— რუბრ შეაფასებდით სიტუაციას, რომელიც რუსეთი აღმოჩნდა? რუსეთი კონფლიქტშია უკრაინასთან, იბრძვის სირიაში, კონფრონტაცია აქვს დასავლეთთან... ვისი ბრალია?

— პრობლემის ფესვები უკრაინაში უნდა ვეძებოთ. ალბათ, მთავარი კითხვა ასეთი უნდა იყოს - ვინაა დამნაშავე უკრაინის კრიზისის დაწყებაში? ჩემი პასუხი: ძირითადად დასავლეთის სახელმწიფოები.

— და რატომ?

— ცივი ომის დასრულებისთანავე დასავლეთმა არჩევანი ნატოსა და ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართობაზე გააკეთა. საბოლოო ჯამში გაფართოების ტალღა უკრაინასა და საქართველოსაც მიწვდა — ალიანსის ბუქარესტის სამიტზე გამოცხადდა, რომ ორივე ქვეყანა ნატოში გაწევრიანდებაო. მოსკოვის პოზიციით კი, ასეთი სიტუაცია რუსეთისთვის აბსოლუტურად მიუღებელია. 2008 წლის აპრილში რუსეთმა მკაფიოდ განუცხადა ნატოს, რომ უკრაინისა და საქართველოს მიღება განუხორციელებელია, რაც დაადასტურა კიდეც იმავე წლის აგვისტოში საქართველოსთან მიმართებით. ყველაზე საკვირველი კი ისაა, რომ დასავლეთი ვერ მიხვდა, რომ საქართველოში მომხდარი უკრაინაში განმეორდებოდა, თუ (ბრიუსელი და ვაშინგტონი) იქ დასავლური დემოკრატიისა და კაპიტალიზმის „შეტანას“ არ შეწყვეტდნენ.

— მაგრამ ნატო ხომ არ თხოვს საქართველოს და უკრაინას „შემოდითო“, თვითონ უკრაინამ და საქართველომ გამოხატეს ნატოში შესვლის სურვილი. განა ეს ამ ქვეყნების სუვერენული უფლება არ არის?

— ნატოს შეეძლო, მათთვის უბრალოდ ეთქვა — „არა“. არ არსებობს არც ერთი ნორმატიული აქტი, რომ ნატო დაევალდებულებინა კიევისა და თბილისისთვის მიღებაზე თანხმობისთვის მიცემაში. თუ ნატო იმას ფიქრობდა, რომ საქართველოსა და უკრაინის მიღებით რუსეთთან კონფრონტაციის საბაბი ექნებოდა, მაშინ ასეთი ნაბიჯის გადადგმა სისულელეა. რაც შეეხება უკრაინისა და საქართველოს სუვერენულ უფლებას, როგორც თქვენ თქვით, ეს მაინცდამაინც ჭკვიანური მოქმედება არაა საერთაშორისო პოლიტიკაში (ტრადიციულად), დიდი სახელმწიფოების ორბიტაზე მყოფი სუსტი და პატარა სახელმწიფოების უფლებები საგარეო პოლიტიკაში შეზღუდულია. აშშ-ის თვალსაზრისით, დასავლეთ ნახევარსფეროს არც ერთ ქვეყანას სხვა დიდ სახელმწიფოსთან სამხედრო ალიანსის გაფორმების უფლება არა აქვს. ვაშინგტონი თვლიდა, რომ კუბას უფლება არ ჰქონდა, თავის ტერიტორიაზე საბჭოთა ბირთვული რაკეტები განთავსებინა 1960-იანი წლების დასაწყისში. იმავე კუბას, ბრაზილიას, მექსიკას, კანადას არასოდეს არ ექნებათ ჩინეთთან სამხედრო ალიანსის გაფორმების უფლება. როცა დიდი სახელმწიფოს გვერდით ცხოვრობ, უნდა გააცნობიერო, რომ რაღაც-რაღაცებში შეზღუდული ხარ. უკრაინა უფრო ძლიერ სახელმწიფოსთან მდებარეობს და ამიტომ უკრაინელებმა უნდა გაიგონ: მათ არ აქვთ ნატოში გაწევრების უფლება, რუსები ამას არ მოუთმენენ.

— თქვენი ლაპარაკიდან გამოდის, რომ უკრაინისა და საქართველოს მმართველმა ელიტამ საკუთარ ხალხს უნდა უთხრას, დასავლეთთან ინტეგრაციის მცდელობა შევწყვიტოთო... მაგრამ ისინი ამას არ გააკეთებენ...

— მე კი ვფიქრობ, რომ ეს უნდა გააკეთონ და შეუძლიათ კიდეც. მათ გულახდილად უნდა განუმარტონ საკუთარ ხალხს, რომ თუ ისინი ნატოში გაწევრების პროცესს დაიწყებენ, მათი სახელმწიფოები განადგურდებიან. და ახლა ჩვენ სწორედ ამის მომსწრენი ვართ. უკრაინელებს ამჟამად მოქმედების ორი ვარიანტი აქვთ: პირველი — შეწყვიტონ ნატოსა და ევროკავშირისაკენ ლტოლვა, ნეიტრალურები გახდნენ და უკრაინა გადაიქცეს ბუფერულ სახელმწიფოდ რუსეთსა და ევროპას შორის. თუ ისინი ამ არჩევანს გააკეთებენ, მათი ცხოვრება გაუმჯობესდება. მეორე - გააგრძელონ მცდელობა დასავლეთის ბანაკში გასაწევრებლად. მაგრამ ამ შემთხვევაში რუსეთი გააგრძელებს უკრაინის ეკონომიკის ნგრევისა და აღმოსავლეთ რეგიონებში დესტაბილიზაციის პროცესს.

— თქვენი აზრით, დასავლეთის მცდელობა აღმოსავლეთისკენ გაფართოებაზე წინასწარ გამიზნული სტრატეგიაა თუ საერთაშორისო პოლიტიკის კანონებში გაუცნობიერებლობა, მიუხვედრილობა?

— სრულიად ნათელია — დასავლეთი დანარჩენი მსოფლიოს „მუშაობის პრინციპს“ ვერ აცნობიერებს. განა რუსეთი რაიმე ისეთ აგრესიულობას ამჟღავნებდა უკრაინის მიმართ 2014 წლის თებერვლამდე, როცა კიევში გადატრიალება მოხდა? ეს ის შემთხვევა არ არის, როცა ნატოს რუსეთი უნდა შეეჩერებინა. პირიქით, აშშ-ისა და ევროკავშირს ჰქონდა ლიბერალური შეხედულებები საერთაშორისო ურთიერთობებზე — ფიქრობდნენ, საბჭოთა კავშირი აღარ არის და მოდით, უსაფრთხოების სიტემაში საქართველო და უკრაინაც ჩავრთოთო. თითქოსდა იმ მიზნით, რომ ასეთი ნაბიჯი ევროპას მშვიდობას და აყვავებას მოუტანდა. ეს არარეალისტური შეხედულებაა. ვლადიმირ პუტინი, რომელიც ამ შემთხვევაში არაფრით განსხვავდება მიხეილ გორბაჩოვისა და ბორის ელცინისაგან, დაბეჯითებით იმეორებდა, რომ რუსეთი ნატოს მიახლოებას თავის საზღვრებთან უსაფრთხოების მუქარად განიხილავდა. მაგრამ დასავლეთს რუსეთის განცხადებებისა არ სჯეროდა. სწორედ ამიტომ, როცა 2014 წლის თებერვალ-მარტში უკრაინაში სწრაფი კრიზისი დაიწყო, ვაშინგტონელი ექსპერტები და პოლიტიკოსები, ბარაკ ობამას ჩათვლით შოკში ჩავარდნენ.

— შესაძლოა ამერიკელები ფიქრობდნენ, რომ რუსეთი შეშფოთდებოდა, აღშფოთებულ განცხადებებს გააკეთებდა და საბოლოო ჯამში, ნატოში საქართველოსა და უკრაინის გაწევრებას ჩუმად „გადაყლაპავდა“? როგორც ეს, ვთქვათ, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების შემთხვევაში მოხდა?

— დიახ, ასე იყო. 1999 წელს ნატოს გაფართოების დროს პოსტსოციალისტური პოლონეთი, ჩეხეთი და უნგრეთი მიიღეს, 2004 წელს კი — ბალტიის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკები. ორივე შემთხვევაში რუსეთი ხმამაღლა გამოხატავდა აღშფოთებას, მაგრამ შემდეგ მომხდარ ფაქტს შეურიგდა. მაგრამ მოგვიანებით მოსკოვი 1990-იანი წლების კატასტროფული კრიზისის შედეგებიდან გამოვიდა, მოახერხა თავისი არმიის რეფორმირება და მოთმინების ფიალაც აევსო. 2014 წლის რუსეთი ისეთი აღარ იყო, როგორიც 1999-ში და თუ გნებავთ — 2004-შიც. მართალია, საქართველოსთან 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტში რუსეთის არმიამ მაინცდამაინც კარგი მოქმედება ვერ აჩვენა, მაგრამ ამ ფაქტმა ბიძგი მისცა სწრაფ სამხედრო მოდერნიზებას. 2014 წელს რუსეთის არმია უკვე მრისხანე ძალად იქცა. და ამ დროს უკვე რუსებს ყელში ამოუვიდათ ნატოს გაფართოება და მეზობლად მდებარე სახელმწიფოებში რეჟიმების უპრაგუნოდ შეცვლა.

◎ პოზიცია

ფეხის ამწევებიდან... ხელის ამწევებამდე!

გახსოვთ, ალბათ, რა ლეგენდები დადიოდა პრეზიდენტ მიშა სააკაშვილზე — მინისტრებს, მინისტრის მოადგილეებს თუ დეპუტატებს თვითმფრინავის ტრაპზე ან დისკო-ბარებში არჩევდა თურმე და „მომიტეხე მჭადი, მოგიტეხავ ყველსა“ პრინციპით მოქმედებდა.

სხვათა შორის, უმადურობა-უგემოვნებას ნამდვილად ვერ დასწამებდი და... ჰყავდა საქართველოს ლამაზი, თვალტანადი მინისტრები თუ დეპუტატები. მართალია, არაპროფესიონალები, მაგრამ ისეთები, მიშას რომ მოსწონდა (იყო ასეთი ფაქტიც: თავისი „ტურფა“ დეპუტატის მანდატით რომ დაეჯილდოვებინა, კონსტიტუციაც კი შეცვალა)!

დღეს მიშას „რჩეულები“, მართალია, მინისტრები და დეპუტატები არ არიან, მაგრამ არც იკარგებიან — მათ საშოვარი უკვე იშოვეს, გასაკეთებელი გაიკეთეს და ახლა ცხოვრების შარა-გზას ღიღინ-ღიღინით მიუყვებიან!

მართალია, „ქართული ოცნება“ სააკაშვილის სინდრომით არ დაავადებულა, მაგრამ, დეპუტატების შერჩევის კრიტერიუმით ვერ დაიტრაბახებს — დღეს ფეხის ამწევები ხელის ამწევებმა შეცვალეს!!!

პირადად მე, უკვე არჩეულებში და დღე-დღეზე გასადეპუტატებლად გამზადებულებში ისეთი პერსონები ვიცი, ვისაც 2 წიგნი ბოლომდე არ წაუკითხავს, მაგრამ, დეპუტატობის ამბიცია მაინც გაუჩნდათ.

არა მგონია, ასეთი პრინციპით შერჩეულმა დეპუტატებმა საკანონმდებლო საქმიანობას ფეხი აუწყონ, ან საკანონმდებლო ინიციატივებით თავი გამოიჩინონ, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მათ ფუნქციაში ნამდვილად არ შედის — წინასწარ იციან, რომ მათი უმთავრესი ვალდებულება ხელის აწევა იქნება!

პროპორციულ სისტემას ვინ ჩივის (აქ შეიძლება ისე შეფუთო ყველაფერი, ამომრჩეველი ვერც მიხვდეს, სინამდვილეში ვის აძლევს ხმას), „ხელის ამწევი“ დეპუტატები არც მაჟორიტარებში იქნება გამონაკლისი. ქართული პრაქტიკა ადასტურებს, რომ არჩევნების მაჟორიტარული სისტემა ნებისმიერი ხელისუფლების „აქილევსის ქუსლია“. აქ ყველაზე მეტად მჟღავნდება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ეფექტურობა.

ნიშანდობლივია, რომ მიმდინარე მაჟორიტარული არჩევნები, არჩევის წესითა და პირობებით არსებითად განსხვავდებოდა ყველა სხვა ადრინდელი არჩევნებისგან, რაც კი დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ჩატარებულა - მაჟორიტარობის კანდიდატს ხმას ვაძლევთ არა ტერიტორიული პრინციპით, არამედ, ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით, რაც აბსურდულ სიტუაციამდე დადის!

ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა მთიანი რეგიონების მაგალითზე, სადაც რამდენიმე რაიონში ერთი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატია. ცნობადობას რომ თავი დავანებოთ, კანდიდატს უძნელდება სრულფასოვანი საარჩევნო კამპანიის ჩატარება (თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, მაინც ხელისუფლებისთვის სასურველი კანდიდატი იმარჯვებს).

სწორედ ამ დროს „საქმეში ერთვება“ ადმინისტრაციული რესურსები, რომელიც სახელისუფლებო კანდიდატის გამარჯვებას არსებითად განსაზღვრავს!

ეგ კიდევ არაფერი, 2020 წლიდან საქართველო არჩევნების მხოლოდ პროპორციულ სისტემაზე გადადის, რაც სრულიად უკარგავს აზრს არჩევნების ჩატარებას...

საქმე ისაა, რომ ქვეყანაში არ არსებობს თუნდაც ერთი პროფესიონალი (კვალიფიციური) პოლიტიკური პარტია, რომელსაც აქვს გამოკვეთილი იდეოლოგია და სახელმწიფოს განვითარების კონკრეტული პროგრამა, რაც მეცნიერულ გათვლებზე იქნება დაფუძნებული. აქედან გამომდინარე, არ გვყავს პროფესიონალი პოლიტიკოსებიც, ვისაც ამომრჩეველი (საზოგადოება) სახელმწიფოს მართვას ანდობდა.

მთელი უბედურება ის არის, რომ არჩევნების ფორმალური კონკურენტული გარემოც მოისპო და ქვეყანა — ორი ერთი და იგივე იდეოლოგიის (თუ ამას იდეოლოგია ჰქვია) მქონე პოლიტიკური წარმონაქმნის ამარა დარჩა!

საქმეს ართულებს ისიც, რომ საზოგადოებაში ახალი პოლიტიკური ძალის ფორმირების კონტურები არ ჩანს.

სწორედ ასეთ ცაიტნოტურ პირობებში იქმნება მყარი ნიადაგი „ხელის ამწევთა“ ინსტიტუტის ჩამოსაყალიბებლად — საკანონმდებლო ორგანო ახლაც და მომავალშიც იმ პერსონებით დაკომპლექტდება, ვინც მოქმედ ხელისუფლებას აწყობს — დემოკრატიული ფასადის გასალამაზებლად კი დეპუტატის მანტიას მეორე პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებიც მოისხამენ (ფაქტობრივად, ორპარტიული პარლამენტი დაკანონდა და ამათი „კოშკა-მიშკას“-ს თამაშით ნამეტნავად გავერთობით) და ასე გაგრძელდება დაუსრულებლივ, ვიდრე, ქართველი ამომრჩეველი „ზევიდან“ შემოთავაზებული კომედიის მონაწილე და ბრმა შემსრულებელი იქნება — იმ კომედიის, რომელიც რამდენიმე ხანში ისევ ჩვენსავე ტრაგედიად იქცევა!

საუბარი რომ არ გამიგრძელდეს, მოკლედ ვიტყვი: **დღევანდელ ხელისუფლებას ბევრი არაფერი გაუკეთებია „ნაციონალურ“ ინტერესებს მორგებული საარჩევნო გარემოს, შესაბამისად, საარჩევნო კანონმდებლობის შესაცვლელად და რეალურ განზომილებაში მოსაყვანად.**

პირიქით, საარჩევნო კოდექსი კიდევ უფრო მოარგო საკუთარ ინტერესებს და ისეთი პირი უჩანს, რომ ამომრჩევლის ფუნქცია უახლოეს მომავალში საერთოდ დაიკარგება!

ასეთ პირობებში სულ უფრო და უფრო გაიზრდება „ხელის ამწევების“ როლი და მნიშვნელობა... ყველაფერზე ხელის აწევა კი, მორალური თვალსაზრისით, ფეხის აწევისგან დიდად არ განსხვავდება!..

დანარჩენს არჩევნების მეორე ტურის დამთავრების შემდეგ ვიტყვი.

ზაურ ნაჭყებია

პოლიტიკური ტაკი-მასხარა

„ლანა ღოღობერიძის მშობლებმა გაჟლიტეს მთელი ქართული ელიტა, მათ შორის ჯავახიშვილები, მათ შორის ევგენი მიქელაძეები, მათ შორის ცნობილი ჭიათურის მატარებელი რომ დახვრიტა, ლანას მამა იყო“; „სუბარს 5 ბინა აქვს მარტო თბილისში, თვითონაც ვეღარ თვლის, იმდენი ბინა აქვს: ცხოვრობს ჩვენი დევნილი და ლტოლვილი ხალხის ზურგიდან აკრეფილი და აყვლეფილი ფულებით“;

„წულუკიანს 300 000 ევროდ სახლი უყიდეს სტრასბურგში, ეს ცნობილია, ხო? ეს მინისტრები არიან ივანიშვილის ბანკის კლიენტები“; „ხელისუფლებამ 400 ათასი სოციალურად დაუცველი 50-50 ლარად მოისყიდა“, — ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია „ლეიბორისტული პარტიის“ თავმჯდომარის შალვა ნათელაშვილის მიერ გახმიანებული ბრალდებებისა, რომელთა მტკიცებულება, როგორც წესი, მშრომელთა ლიდერს არ წარუდგენია.

ის, რომ სოციალურად დაუცველები ხელისუფლებამ ნათელაშვილის მტკიცებით 50 ლარად მოისყიდა, **არ დასტურდება**. თუმცა, პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ამჟამად მტკიცებულებების შეკრება მიმდინარეობს, რომელსაც პროკურატურაში წარადგენენ.

გიორგი გუგავა: კონკრეტული ინფორმაცია არსებობს ამასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ეს არაა ჰაერიდან მოტანილი ინფორმაცია. მტკიცებულებები ნელ-ნელა გამოქვეყნდება.

ანუ, თქვებ გაქვთ ეს მტკიცებულება და აპირებთ გამოქვეყნებას?

— დიახ, თანდათან გამოქვეყნდება ამის შესახებ მტკიცებულება. რაღაცა ნაწილი გამოქვეყნდა კიდეც. „რუსთავი 2“-ის ეთერში გავიდა სიუჟეტში, როგორ მისცეს სოციალურად დაუცველს 30 ლარი და ასე გააკეთეს მასობრივად. თბილისში გააკეთეს შემდეგნაირად: მოგეხსენებათ, რომ არსებობს სოციალურად დაუცველთა მონაცემები, აიღეს ეს მონაცემები და აბსოლუტურად ყველას ჩამოურიგეს 50-ლარიანი საგარანტიო ფურცლები, რომლის მიხედვით „ქართული ოცნებისთვის“ ხმის მიცემის შემთხვევაში, „ლიბერთი ბანკში“ მიიღებდნენ დახმარებას 50 ლარის ოდენობით — ეს მოხდა თბილისში, ხოლო რეგიონებში როგორც გითხარით, ჩამოუარეს, ზოგს თანხა ჩამოურიგეს, ზოგს ფქვილი და ა.შ.

ხალხი ყველა მის გამონათქვამზე იცინის!..

ნათელაშვილი უსაფუძვლო ბრალდებებით რეკორდს ხსნის

— რაც შეეხება თბილისს, ეს თემა გადავამოწმე რამდენიმე სოციალურად დაუცველ ოჯახთან, მაგრამ მსგავსი რამ არ დასტურდება...

— მანამდე გაკეთდა აღწერა და ზუსტად იცოდნენ, ვისთან უნდა მისულიყვნენ. მაპატიეთ, მაგრამ რომელი სოციალურად დაუცველი გეტყვით ამას?

— შერჩევით მოხდა 50-ლარიანი ვაუჩერის დარიგება?

— მარტივად გეტვით, თქვენ შეგიძლიათ გამოითხოვოთ ყველა გამგეობიდან 2016 წლის სხვა სოციალური ხარჯი. თქვენ ნახავთ, როგორ მოხდა „დანახარჯები“ სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის დასაწყისში.

როგორც გითხარით, მიმდინარეობს მტკიცებულებების შეკრება. ჩვენი მხრიდან შეგროვილი იქნება ეს მტკიცებულება და ყველა სამართლებრივი ღონისძიება იქნება გამოყენებული. მაგრამ რამდენად იქნება ეფექტური გამოძიება, ეს უკვე სხვა საკითხია, ნამდვილად არ მგონია, რომ პროკურატურამ ეს საკითხი გამოიძიოს და რამე გადაწყვეტილება მიიღოს.

საქართველოში რომ ცილისწამების მუხლი გაუქმებული არ იყოს, მშრომელთა ლიდერს თავის მართლება სასამართლოს წინაშე მოუწევდა, წინაღმდეგ შემთხვევაში კი, სამართლებრივ პასუხისმგებლობას ვერ აირიდებდა. საქართველომ როგორც ევროპის საბჭოს წევრმა ქვეყანამ, ცილისწამების მუხლი გააუქმა, რაც ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კოდექსში მუხლი ცილისწამების შესახებ არ აღსდგება. აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს ქვეყნებში მუხლი ცილისწამების შესახებ აკრძალულია.

იურისტი ირმა ჭკადუა ფიქრობს, რომ ახალი პარლამენტი ამ საკითხზე იმსჯელებს, რადგან თვლის, რომ არ შეიძლება პოლიტიკოსის და ჟურნალისტის სტატუსს ამოფარებულმა გააკეთოს ცილისმწამებლური განცხადება და ამაზე პასუხი არ აგოს.

„სამწუხაროდ, სისხლის სამართლის კოდექსი არ არეგულირებს ცრუ ბრალდებას, მაგრამ ძალიან ბევრჯერ მქონდა საუბარი და იმედი მაქვს, რომ ახალ პარლამენტს ექნება ამ საკითხზე მსჯელობა. არ შეიძლება ერთმა ადამიანმა მეორეს დააბრალოს რაც უნდა და მერე თავი შეაფაროს იმას, რომ ჟურნალისტია და ამის უფლება აქვს, მათ შორის - პოლიტიკოსებიც. ვფიქრობ, რომ ეს არის ერთ—ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, სხვა ცვლილებებთან ერთად, რომლის ცვლილება აუცილებლად უნდა განხორციელდეს სისხლის სამართლის კოდექსში“, — აცხადებს ირმა ჭკადუა.

რაც შეეხება უშუალოდ შალვა ნათელაშვილის განცხადებას, იურისტის განმარტებით, მშრომელთა ლიდერის არაადეკვატურ ბრალდებებზე კომენტარის გაკეთება უხერხულია.

„შალვა ნათელაშვილის კომენტარებზე კომენტარის გაკეთება ვფიქრობ, რომ ზედმეტად უხერხულია. ეს არის ადამიანი, რომელიც ახმოვანებს იმას, რაც უნდა. იმდენად არასერიოზულია, რომ მგონია, ხალხი იცინის ყველა მის გამონათქვამზე. ამიტომ ვფიქრობ, რომ ცილისწამების წინააღმდეგ მუხლი მიღებული უნდა იქნას. ძალიან ხშირად ისმის მაღალი თანამდებობის პირების, საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანების მიმართ ცილისმწამებლური განცხადებები. არ შეიძლება ადამიანები მუდმივად იყვნენ თავდაცვის რეჟიმში და მეორე მხრივ ადამიანები, რომლებიც ცრუ ინფორმაციას ავრცელებენ, დაუსჯელები რჩებოდნენ“, — აცხადებს ირმა ჭკადუა.

უფლებადამცველ **სოფო ხორგუანის** განცხადებით, საქართველოში არსებობს მუხლი — საქმიანი რეპუტაციის შელახვა, შესაბამისად, პირს შეუძლია წავიდეს სასამართლოში და იდავოს. რაც შეეხება ცილისწამების მუხლის ამოქმედებას, ხორგუანი ამბობს, რომ აუცილებელი არ არის ცილისწამების მუხლის აღდგენა და მიაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში უკეთესია მოქალაქეების სწორად ინფორმირება.

„მოქალაქეები გააკეთებენ სწორ დასკვნას. იმიტომაც არის ლეიბორისტების ნდობა საზოგადოებაში მაქსიმუმ 3%. რაც შეეხება თვითონ ამ მოვლენას, ასეთ დროს პასუხისმგებლობა არის და პოლიტიკური პასუხისმგებლობა ჰქვია ამას, როდესაც ასეთი პოლიტიკოსები კარგავენ ნდობას და ასეთი განცხადების შემდეგ მათ აღარ ენდობა ამომრჩეველი. შედეგი არის ის, რა პროცენტებსაც იღებენ არჩევნებზე. ეს არის მათი პოლიტიკური პასუხისმგებლობა“, — ასკვნის სოფო ხორგუანი.

მისივე თქმით, ცრუ ბრალდებაა, როდესაც პოლიტიკური პარტიის ლიდერი ამბობს, რომ ვიღაცებმა ვაუჩერი მიიღეს, რომ ხმა მიეცათ ხელისუფლებისთვის. როგორც ხორგუანი აცხადებს, წლებია, რაც კონკრეტულ ერთჯერად დახმარებას სოციალურად დაუცველი ადამიანები იღებენ.

„წლებია, ასეა. ჩემ გარშემო არ ვიცნობ ადამიანებს, რომ ვინმეს მათთვის ხელისუფლებისთვის ხმის მიცემის სანაცვლოდ 50-ლარიანი ვაუჩერი მიეცათ. პოლიტიკოსებისგან ასეთი ბრალდებები, რომელიც დამკვიდრდა ამ ქვეყანაში, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია. შეგახსენებთ, რომ წინასაარჩევნოდ გააკეთეს განცხადება, თითქოს კალაძის ბანკიდან ვიღაცას თანხა გადაურიცხეს, მერე თქვეს შეგვეშალაო, არასწორი ინფრმაცია გავავრცელეთო და ვითომ არაფერი.

პოლიტიკოსები თავისი პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე არ ერიდებიან ტყუილი განცხადების გაკეთებას, მაგრამ შედეგი არის ის, რომ მათ ამომრჩეველი უკვე აღარ ენდობა. ამას არჩევნებში მიღებული შედეგები აჩვენებს და ეს არის პოლიტიკური ფასი, მათი ზნეობის გაჩენი.

თუ სამართლებრივ მხარეზე ვლაპარაკობთ, იმ ადამიანებს, ვისზეც ავრცელებ ცრუ ინფორმაციას, შეუძლიათ იჩივლონ სასამართლოში. ნამდვილად არ გვინდა ცილისწამების მუხლის აღდგენა. მე მგონია, რომ უკეთესია ის, რასაც თქვენ აკეთებთ, ანუ მოქალაქეების ინფორმირება. მოქალაქეები აკეთებენ სწორ დასკვნას. ვიმეორებ, იმიტომაც არის ლეიბორისტების ნდობა საზოგადოებაში 3%“...

თამთა ქარჩავა.

რედაქციისგან: „ვანოს ზოუს“ ბევრად გაუსწრო „შალიკოს ზოუმ“, რომელმაც გადაწყვიტა, რომ სიცილით უმკურნალოს ნაციონალებისა და ლეიბორისტების თავგზააბნეულ ამომრჩეველს.

ამიტომაც არის, რომ ყველა სალად მოაზროვნე მოქალაქემ პოლიტიკურ ტაკიმასხარად მონათლა ხელმოცარული დუშელი პოლიტიკოსი.

◎ უცხოური პრესიდან

სანდრა, წაგება არასდროს არ არის დაგვიანებული

აზერბაიჯანულ გამოცემა „Kaснiй“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია საქართველოში — ზუგდიდსა და მარნეულის საარჩევნო ოლქებში ხელახლა ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები, რომლის შედეგად ვერც ერთმა მაჟორიტარმა კანდიდატმა ვერ გაიმარჯვა. შესაბამისად, 30 ოქტომბერს, სხვებთან ერთად, ამ ოლქებშიც მეორე ტური გაიმართება (ავტორი — რაუფ ორუჯევი).

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სტატიის რეზიუმეს:

პუბლიკაციაში ყურადღება ეთმობა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ცოლის სანდრა რულოვსის გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად, მან უარი განაცხადა მეორე ტურში მონაწილეობაზე. ავტორი იქვე ციტირებს მიხეილ სააკაშვილსაც, რომელიც გაგებით მოეკიდა მეუღლის მიერ გადადგმულ ნაბიჯს. მასალაში მოცემულია ქართველი პოლიტოლოგის თენგიზ აბლოთიას კომენტარიც:

„როგორც ჩანს, სანდრა რულოვსის ნაბიჯი იმითაა განპირობებული, რომ ადრე მიხეილ სააკაშვილმა თავის თანაპარტიელებს არჩევნების მეორე ტურის ბოიკოტისაკენ მოუწოდა. „ნაცმოძრაობაში“ მისი ინიციატივა განიხილეს, მის განხორციელებაზე უარი თქვეს და ბრძოლოს გაგრძელება გადაწყვიტეს. მაგრამ პარტიის წევრებისაგან განსხვავებით, ცოლი ქმრის სურვილს დამორჩილდა. მე პირადად სანდრა რულოვსის გადაწყვეტილება არასწორად მიმაჩნია. მას ბოლომდე უნდა ებრძოლა, ბოლოს და ბოლოს, სწორედ ესაა პოლიტიკა. წაგება არასდროს დაგვიანებული არ არის, მით უმეტეს, რომ ამისათვის არავინ არ დაგიჭერს და არ დაგხვრეტს. რა მოხდა მერე, ვის არ წაუგია, ამაში ცუდი არაფერია“.

ქუთათურაბო, წერეთელი, ბობოხიძე და თევდორაძე პოლიტიკიდან უნდა განდევნოთ!

მისაბაძი მაგალითი იყო, როდესაც სამეგრელოს ინტელიგენციამ განგაშის ზარები შემოჰკრა იმის გამო, რომ საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში, რომელსაც ქვეყნის ძლიერებაში მრავალჯერ მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია, ამჯერად საშუალება მისცეს ქვეყნის დამაქცევრებს, გამყიდველებს, ქართველთმოძულე ეგრეთ წოდებულ ნაცებს საპარლამენტო არჩევნებში თუნდაც მცირე წარმატებისთვის მიეღწია. ხსენებული კუთხის ინტელიგენტები ასე მოძღვრავდნენ მეგრელებს — თუ ნაცებმა, კერძოდ, რულოვსმა ზუგდიდში გარკვეული ოდენობის ხმები მიიღო, ამ შავ ლაქას ძნელად ჩამოვირეცხავთო.

ასეთივე მოწოდება უნდა გაეკეთებინა საქართველოს თითოეული კუთხის ინტელიგენციას და შედეგად პირველ ტურშივე 21-ე საუკუნის ეს კანიბალები საბოლოოდ გაიყრებოდნენ პოლიტიკური სარბიელიდან.

მე არც მწერალი ვარ და არც პოლიტოლოგი... რომ იტყვიან, გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, — ასეა ჩემი საქმე... რომ დავინახე ქუთაისის ინტელიგენცია პასიურობდა, იძულებული გავხდი კალამი ხელში ამეღო და თანამოქალაქეებისადმი მიმემართა. თუმცა, რა პოლიტოლოგობა და თეორეტიკოსობა უნდა ჩვენ თვალწინ მიმდინარე პროცესებს? — საჭიროა მხოლოდ მიუკერძოებლობა და მოვლენების სწორი ანალიზის უნარი. ნუთუ, ჩემო ქუთაისელებო, ნათელი არ უნდა იყოს სააკაშვილისა და მისი თანამოსაქმეების ანტისახელმწიფოებრივი ქმედებანი, რაიც ქართული მიწების და სტრატეგიული ობიექტების გაყიდვაში, ქვეყნის ინტერესების უგულებელყოფაში, იმგვარი პროვოკაციების მოწყობაში გამოიხატებოდა, რამაც ქვეყანა ვეებერთელა რუსეთს დააპირისპირა. შედეგად საქართველო კატასტროფის წინაშე დადგა. თვით ბუშმაც კი, რომელიც სააკაშვილის მხარდამჭერად მოიაზრება, საჯაროდ განაცხადა: რუსეთმა არაპროპორციულად დასაჯა საქართველო. ამ გამონათქვამიდან ნათლად ჩანს, რომ ბუში ომის დაწყებაში სააკაშვილს ადანაშაულებს. ამ გამონათქვამის ქვეტექსტი ასეთია: სააკაშვილის მიერ ომის დაწყებისთვის საქართველო დასჯას იმსახურებდა, მაგრამ არც ისე მკაცრად, როგორც მას რუსეთი მოექცაო. ჯერ ერთი, ამ ვიგინდარა, გაურკვეველი ეროვნების, გახრწნილი ინდივიდისათვის ქართველი ერი რატომ უნდა დასჯილიყო? — ეს ხომ ქართველი ხალხისთვის სირცხვილი და თავის მოჭრაა.

პოლიტიკისთვის სრულიად გამოუსადეგარი მარიონეტები — წერეთელი, ბობოხიძე და თევდორაძე არ მემეტება ვიღაც ქართველთმოძულე სააკაშვილის ბატონობისთვის. მეორე მხრივ, ომების ისტორიას არ ახსოვს ომი ქალაქის დაბომბვით დაეწყოთ. გაუგონარი რამ, როგორც ვიცით, სააკაშვილმა შემოგვთავაზა. ზოგი მორიდებით, ირიბად გამოთქვამს თავის აზრს — სააკაშვილმა ომის ინიცირება მოახდინაო. პირდაპირ უნდა ითქვას ის, რაც იყო სინამდვილეში — ხსენებულმა თაღლითმა დაიწყო ომი. არ მსურს მისი გვარი ხშირად გავიმეორო. იმასაც ვიტყვით, რომ ისტორიას არ ახსოვს, რომელიმე დიქტატორს საკუთარი ხალხი ასე ეწამებინოს, როგორც ამას სჩადიოდა სააკაშვილი. ვერავითარი დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმი სრულყოფილად ვერ გადმოსცემს იმ წამების დეტალებს, რასაც ჰყვებიან ციხიდან გამოსული გადარჩენილი, ტანჯული ადამიანები.

ჩემს თანამოქალაქეებს ვურჩევ, გადაშალონ „XX საუკუნის საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის“, 2003 წლის გამოცემა. გვ.70. სწორედ იქ წერია— მოწინააღმდეგის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო თბილისიდან პარლამენტის ქუთაისში გადატანა, რასაც სამკვდრო-სასიცოცხლო ომი მოჰყვა. საბედნიეროდ, ამ ომში საქართველომ გაიმარჯვა და პარლამენტი თბილისში დარჩა. ავადსახსენებელმა სააკაშვილმა უომრად პარლამენტი თბილისიდან ქუთაისში გადაიტანა და ამით არაკეთილმოსურნეები დიდად გაახარა. პარლამენტის ეს მონაცვლეობა ეროვნული დანაშაულია და ამის განმხორციელებლებს სასჯელის უმაღლესი ზომა ეკუთვნით. თბილისი არ უნდა დაცარიელდეს სადედაქალაქო ატრიბუტებისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაკარგავს თავის ფუნქციას და უცხოტომელების სათარეშო ქალაქად გადაიქცევა. ქუთაისს ამის საჭიროება არ აქვს, ვინაიდან იგი გარშემორტყმულია საკმაოდ ფართო ზოლით, სადაც მხოლოდ ქართველები სახლობენ.

ზოგი ქუთაისელი რამდენიმე ათეული ბინის გაქირავებას ანაცვალებს ქვეყნის ინტერესებს — პარლამენტი თბილისში არ დაბრუნოთ, თორემ „ოცნებას“ ხმას არ მივცემთო. რა დაერქვას ამგვარ მიდგომას, დაე, მკითხველმა გამოძებნოს სახელი. მით უმეტეს, იმ დროს, როდესაც ბატონი ბიძინა ივანიშვილი ქუთაისელებს ჰპირდება, რომ მათ ქალაქს გადააქცევს საუნივერსიტეტო ცენტრად, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ერის განათლების საქმეში. ეს საგანმანათლებლო კომპლექსი მსოფლიო მასშტაბითაც თვალსაჩინო იქნება.

ძვირფასო ქუთათურებო! 30 ოქტომბერს წერეთელი, ბობოხიძე და თევდორაძე სრულიად გაწბილებული უნდა გამოვუშვათ ქუთაისიდან. წერეთელი დიდი სიამოვნებით მიატოვებდა სააკაშვილს, მაგრამ ძალიან ეუხერხულება კიდევ ერთი პარტიის დატოვება და სხვაგან გადაბარგება. დაიღალა ეს კაცი აქეთ-იქით ხტუნაობით — შევიბრალოთ, გემუდარებით. ვხუმრობ, თორემ რა შესაბრალისები არიან თავიანთი კუთხის შემარცხვენლები, ერის ინტერესების უგულებელმყოფელი არსებანი, რომელთა ინტერესები პირადულზე (რბილად ნათქვამია) გადის.

სამწუხაროდ, ჩემს ქალაქს ვერ დავეხმარები ზემოხსენებული ინდივიდების პოლიტიკიდან განდევნის საქმეში, ვინაიდან ბოლო ათი წელი, სამსახურის გამო, რუსთავში მიწევს ცხოვრება, მაგრამ იმედი მაქვს, ქუთათურები საბაბს არ მისცემენ მავანთ აუგად მოიხსენიონ ჩემი მშობლიური ქალაქი ნაცებისთვის მხარდაჭერის გამო.

როსტომ შვანგირაძე,
დამსახურებული ინჟინერი.

ქუთაისს ძალიან სჭირდება იუმორის სასახლე!

ღია წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ბატონო ბიძინა,

თქვენდამი უღრმესი პატივისცემითა და იმედით მოგმართავთ ერთ ისეთ საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც უთუოდ დიდი მნიშვნელობა ექნება საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში.

ამ ბარათის მოწერის ბიძგი მოგვცა იმანაც, რომ თქვენ განგებამ დაგაჯილდოვათ იუმორის ნიჭითაც, რაც ყოველი ადამიანისათვის ინტელექტუალური სიმდიდრე და საზოგადოებასთან კომუნიკაციის მძლავრი საშუალებაა.

იუმორის გარეშე ადამიანი სრულყოფილი ვერ იქნება. ამ გრძნობის გარეშე ძნელად ასატანია პოლიტიკოსი, მეცნიერი, მწერალი, პედაგოგი, ექიმი, ჩინოვნიკი, მძღოლი თუ რიგითი ადამიანი, იუმორის გარეშე წარმოუდგენელია ქართული სუფრაც და თამადაც. ამიტომაა, რომ ქართველ კაცს იუმორის გარეშე ვერც ჭირი წარმოუდგენია და ვერც ლხინი.

დიახ, ქართული იუმორი ერის საუნჯეა!

ალბათ, ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ ბარათს გწერთ ქუთაისიდან, გიორგი შავგულიძის, რეზო გაბრიაძის, ვალერიან მიზანდარის, გოვენ ჭეიშვილის („ხუტა უფროსის“) ქალაქიდან, იმ ქალაქიდან, სადაც პოლიკარპე კაკაბაძემ დაწერა „ყვარყვარე თუთაბერი“. ქალაქიდან, რომელიც ქართული ცინცხალი იუმორის აღიარებული ცენტრია. გწერთ იმ ქალაქიდან, სადაც უდიდეს კომიკოს მსახიობად დაიბადა კონტუათელი ჭაბუკი იპოლიტე ხვიჩია, ვის შესახებაც ჟან-გაბენს გაოცებით აღმოხდა: „ეს რა გენიოსი გყოლიათ“.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში პირველად სწორედ ამ ქალაქში 2010 წელს დავაფუძნეთ იპოლიტე ხვიჩიას სახელობის იუმორის ეროვნული აკადემია, რომლის დამფუძნებელები არიან ცნობილი მსახიობები, მეცნიერები, ჟურნალისტები, საზოგადო მოღვაწეები. აკადემიის ეგიდით უკვე გამოვეცით იუმორთან დაკავშირებული ოცი უნიკალური წიგნი, ჩავატარეთ ქართული იუმორის ფესტივალები.

გამოვეცით გაზეთი „იპოლიტე“ და დღემდე დავბეჭდეთ ორმოცი ნომერი, რაც ქვეყნის კულტურული ცხოვრების ისტორიაში მნიშვნელოვანი ფურცელია.

გაზეთის რედაქციასთან თანამშრომლობენ და საინტერესო მასალებს ბეჭდავენ: საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ჩვენი აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ლეგენდარული სატელევიზიო გადაცემის „კაკაბეთის ზარების“ ავტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ალექსანდრე შენგელია; ცნობილი ჯურნალისტი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ივანე ჯაფარიძე; ცნობილი ქართველი პოეტი, გალაკტიონოლოგი ვახტანგ ჯავახაძე; მხატვარ-კარიკატურისტი, სპორტის ოსტატი ჯემალ კვანტალიანი; რეჟისორი ირაკლი ჯაოშვილი; მეცნიერი და მწერალი შოთა ჩხეიძე; მწერალი და კრიტიკოსი სიმონ არველაძე; იმერეთის მწერალთა ორგანიზაციის თავკაცი თეიმურაზ ლანჩავა; პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი ირმა ქურასბედიანი და მრავალი სხვა.

იუმორის ეროვნული აკადემია არსებობს ექვსი წელიწადია და დასანანია, რომ ის მხოლოდ დამფუძნებელთა მწირი პირადი თანხებით ცოცხლობს და საქმიანობს. დასანანია ისიც, რომ ჩვენივე პირადი ხარჯით გვიხდება უნიკალური გაზეთის „იპოლიტეს“ გამოცემა. იქნებ დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ ფაქტია, რომ ქალაქის თვითმმართველობამ ექვსი წლის განმავლობაში ვერც საოფისე ფართი და ვერც დაფინანსება გაიმეტა ჩვენთვის და არცა აქვთ ამის გაკეთების სურვილი. არადა, ქუთაისში ადრე არსებული კულტურის ხუთი სახლიდან ოთხი სრულადაა აღგვილი პირისაგან მიწისა, ერთში სახანძროა გახსნილი (!?). უიმედოდაა დამწვარი საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ცნობილი ცენტრი — ქუთაისის მასწავლებლის სახლი.

შემთხვევითი არც ის იყო, როცა ცნობილმა კინოდრამატურგმა, კინორეჟისორმა და სცენარისტმა, ქუთაისის საპატიო მოქალაქემ, ბატონმა რეზო გაბრიაძემ თბილისში მასთან მარიონეტების თეატრში სტუმრად მისულ და ნანახით აღფრთოვანებულ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს სთხოვა, ქუთაისში იუმორის სასახლის აგება სათანადო საკონცერტო, კინოსადემონსტრაციო, სარეპეტიციო, საგამოფენო დარბაზებით, სასწავლო-საკლასო ოთახებით, ადმინისტრაციული დანიშნულების სათავსოებით და სხვა. მიუხედავად პომპეზური დაპირებებისა, მატყუარა პრეზიდენტმა არ გაითვალისწინა დიდი მამულიშვილის რევაზ გაბრიაძის უაღრესად საყურადღებო თხოვნა.

ბატონო ბიძინა,

იპოლიტე ხვიჩიას სახელობის იუმორის ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმი, ქ. ქუთაისის ინტელიგენცია უერთდება რა ბატონ რეზო გაბრიაძის დიდ სურვილს, გთხოვთ, ქუთაისს აჩუქოთ ქუთათურთათვის ოცნებადაქცეული იუმორის სასახლე, ან გვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რომ 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გაითვალისწინონ თანხები იუმორის სასახლის ასაგებად, რომელსაც მივანიჭებთ გენიალური იპოლიტე ხვიჩიას სახელს.

ამ სახლში ბინას დაიდებენ თვითმოქმედი კოლექტივები, ახალგაზრდული თეატრი, ანსაბლი „ბერმუხა“ და, ცხადია, იუმორის ეროვნული აკადემია, იპოლიტე ხვიჩიას მუზეუმი.

ეჭვგარეშეა, ამით დიდი და საშვილიშვილო საქმე გაკეთდება!

უღრმესი პატივისცემით

გენია თხილავა,
იპოლიტე ხვიჩიას სახელობის იუმორის ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე

ქართული ტრადიციული ბრენდები გეოგრაფიული აღნიშვნის სიაში

27 ოქტომბერს გაიხსნა კონფერენცია „ბრენდინგის სტრატეგიები“, რომლის მიზანია, ქართველი მეწარმეები და ფერმერები გაეცნონ გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული პროდუქციის უპირატესობებს როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს ბაზარზე. კონფერენცია, რომლის ორგანიზატორია საქპატენტი და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO), გახსნა WIPO-ს გენერალური დირექტორის მოადგილემ ბინინ ვანგმა. ღონისძიებაზე, რომელსაც ესწრებოდა 120-ზე მეტი მეწარმე და ფერმერი საქართველოს ყველა რეგიონიდან, იმსჯელეს გეოგრაფიულ აღნიშვნებზე, როგორც მარკეტინგულ ინსტრუმენტზე ქართული პროდუქციის ექსპორტისთვის, ასევე დიზაინისა და შეფუთვის გამოყენებაზე გეოგრაფიული ადგილის ბრენდინგის სტრატეგიებში, ბრენდების რეპუტაციასა და ბაზარზე მათ იმიჯზე, ასევე, მეწარმეთა ასოციაციების როლზე ეფექტური ბრენდინგის სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებაში.

დღეისთვის გამოვლენილია 130-მდე პოტენციური გეოგრაფიული აღნიშვნა, რომელთა შორის არის: ტყემალი, კოლხური თხილი, რაჭული ლორი, ხარაგაულის ნიყვი, ჭოპორტის პომიდორი, ლაგოდეხის საზამთრო, კოლხური დაფნა, ხელვაჩაურის მანდარინი, ტაბაწყურის სტაფილო, მარნეულის საადრეო კარტოფილი და სხვა.

გეოგრაფიული აღნიშვნა არის გეოგრაფიული არეალის სახელი, რომელიც გამოიყენება ისეთი პროდუქტის აღსანიშნავად, რომლის განსაკუთრებული თვისებები და ხარისხი უშუალოდ არის განპირობებული ამ გეოგრაფიული ადგილის დამახასიათებელი (ხშირად უნიკალური) გარემო პირობებით (ნიადაგი, წყალი, ჰავა, ტრადიციული წარმოების წესი). გეოგრაფიული აღნიშვნის მატარებელი პროდუქციის ღირებულება საშუალოდ 2.5-ჯერ აღემატება ანალოგიური სხვა პროდუქტების ფასს და სარგებლობს ბაზარზე განსაკუთრებულად მაღალი მოთხოვნილებით.

გეოგრაფიული აღნიშვნები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნების რეგიონალურ განვითარებაში.

გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა წარმოადგენს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, აგრეთვე საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას. ამჟამად საქართველოში წარმოებული პროდუქციიდან 40-ზე მეტი (ღვინო, მინერალური წყალი, ყველი და სხვ.) რეგისტრირებულია როგორც გეოგრაფიული აღნიშვნა, რომლის დიდი ნაწილი ქართულ ექსპორტზე გადის.

◎ „რთველი 2016“

ყურძენი ჩავათავეთ, ახლა ციტრუსის რიგი დადგა

ქვეყანაში ყურძნის მოსავალი უკვე დაბინავებულია, ხოლო ციტრუსის კრეფამდე მცირე დროა დარჩენილი. ჯერჯერობით დასავლეთ საქართველოს მეციტრუსეებისთვის მთავრობის დახმარების საკითხი არ გადაწყვეტილა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ „რთველი 2016“ ძალიან წარმატებულად ჩატარდა. გიორგი კვირიკაშვილმა ყურძნის კრეფის პროცესი მთავრობის სხდომაზე შეაჯამა.

პრემიერის ინფორმაციით, კახეთში ყურძნის მიღება-გადამუშავების პროცესში მონაწილეობა მიიღო 178-მა კომპანიამ, გადამუშავდა 100 ათას ტონაზე მეტი ყურძენი და კახეთის მოსახლეობის შემოსავალმა 97 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა. რაც შეეხება რთველს, რაჭა-ლეჩხუმში ყურძენი მიიღო 24-მა კომპანიამ და მთლიანობაში 500 ტონაზე მეტი ყურძენი გადამუშავდა. რაჭის მოსახლეობის შემოსავალმა რთვლის პერიოდში, 2,5 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა. ორივე რეგიონში, 2016 წელს, ყურძენი ღვინის კომპანიებს 19 ათასზე მეტმა მევენახემ ჩააბარა.

კვირიკაშვილის შეფასებით, ქართული ღვინო მყარად წარმოდგენილია ტრადიციულ ბაზრებზე და ასევე ახალი სამიზნე ქვეყნებში, როგორიცაა ჩინეთი, რომელთანაც თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება მიღწეულია და ქართული ღვინის ექსპორტი უპრეცედენტოდ მაღალი სისწრაფით იზრდება.

ყურძნის დაბინავების შემდეგ ნარინჯისფერი რთველი იწყება, რომელიც აჭარაში ძალიან მალე გაჩაღდება. წელს ციტრუსის მოსავლიანობა საკმაოდ შემცირებულია, რაც მცენარეების მეწლეობით არის გამოწვეული. ამიტომ მოხდება თუ არა წელს ციტრუსის სუბსიდირება, ჯერ გადაწყვეტილი არ არის. სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრს ლაშა კომახიძეს შეხვდა და საორგანიზაციო სამუშაოებთან დაკავშირებული ინფორმაცია მოისმინა.

აჭარაში მალე გაიხსნება საკოორდინაციო შტაბი და ამოქმედდება ცხელი ხაზი. ჩაბარებული ციტრუსი ერთიან ელექტრონულ ბაზაში აღირიცხება სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით. ნებისმიერ მსურველს განახლებული ინფორმაციის ნახვა ონლაინ რეჟიმში შეეძლება.

საპროგნოზო მონაცემებით, ციტრუსის მოსავალი 50-60 ათას ტონას შეადგენს. აქედან, დაახლოებით 10 000 ტონა განკუთვნილია სამრეწველო გადამუშავებისთვის, ხოლო დანარჩენი — საექსპორტო დანიშნულებისთვის. შარშან მოსავლიანობა თითქმის 90 ათას ტონას აღწევდა.

ლევან დავითაშვილის განცხადებით, ბაზრის ანალიზის შემდეგ გადაწყდება ციტრუსის რეალიზაციაში სახელმწიფოს მხრიდან დახმარების საკითხი. სუბსიდირების პროგრამა ჯერ დამტკიცებული არ არის.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ციტრუსის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის საკითხს. ლაშა კომახიძის განცხადებით, ტრადიციული ბაზრების გარდა, ქართული ციტრუსის ექსპორტით ლატვია და უზბეკეთია დაინტერესებული. ოქტომბრის ბოლოს, აჭარაში დაგეგმილია ფორუმი, სადაც მოწვეული იქნებიან ციტრუსის მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნების წარმომადგენლები.

ბექა დანელია

◎ მთავარი პრიორიტეტი

სოფლის მეურნეობის ბიუჯეტი 2017 წელს

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, მისი ხელისუფლებაში მოსვლის მომენტისთანავე, იყო სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. სხვადასხვა ტიპის დაფინანსების მეშვეობით ხორციელდება სუბსიდირება (მაგალითად, ყურძნის, ციტრუსის), სხვადასხვა პროექტები (მაგალითად, „დანერგე მომავალი)“, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (მაგალითად, სარწყავი არხების), სოციალური ტიპის ხარჯები (საზაფხულო სამუშაოების ვაუჩერები) და ა.შ. ცხადია, ამ პროექტების ეფექტიანობის შეფასება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ასეთმა შეფასებამ უნდა გასცეს პასუხი კითხვას — რამდენად გამართლებულია, ყოველწლიურად, სახელმწიფოს მიერ ამ მიმართულებით გაწეული საბიუჯეტო დანახარჯები?

2017 წელს სახელმწიფო სოფლის მეურნეობის დანახარჯებს ამცირებს. გასულ კვირას პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტმა მოამზადა შეფასება, რომლის თანახმადაც, 2017 წლის ბიუჯეტის პროექტში სოფლის მეურნეობის პრიორიტეტების დიდი ნაწილი არ იკვეთება.

კომიტეტის ეს შეფასება და შენიშვნები მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნაშია ასახული. 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, სოფლის მეურნეობის დაფინანსება 83 მლნ 210 ათასი ლარით მცირდება. სამინისტროსთვის მიმდინარე წელს 321 მლნ 350 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. 2017 წლის ბიუჯეტის პროექტით კი, მისი საბიუჯეტო ასიგნება 238 მლნ 140 ათას ლარს შეადგენს. შესაბამისად, მცირდება პროგრამების დაფინანსებაც: სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა შემცირებულია 75 მლნ 430 ათასი ლარით, სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა — 3 მლნ 930 ათასი ლარით, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება — 450 ათასი ლარით, სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება — 3 მლნ 400 ათასი ლარით.

როგორც პარლამენტის კომიტეტის დასკვნაშია აღნიშნული, **2016 წელთან შედარებით, კლების ტენდენციით ხასიათდება თითქმის ყველა ქვეპროგრამა: სოფლის მეურნეობის პოლიტიკის შემუშავება და მართვა მცირდება 2 მლნ 735 ათასი ლარით, შესაბამისად, სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვა და ადმინისტრირება რეგიონებში — 385 ათასი ლარით, სამელიორაციო სისტემების მოდერნიზება — 14 მლნ ლარით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები — 1 მლნ 240 ათასი ლარით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დაფარვა — 7 მლნ ლარით, აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები — 4 მლნ ლარით, ქართული ჩაი — 2 მლნ 500 ათასი ლარით, ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა და იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია — 3 მლნ ლარით, მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა — 550 ათასი ლარით.**

აგრარულ საკითხთა კომიტეტი მთავრობის წინაშე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსების 5 მლნ 350 ათასი ლარიდან 15 მლნ ლარამდე გაზრდის საკითხს სვამს. **კომიტეტს მიაჩნია, რომ აგროდაზღვევის დაფინანსება არასაკმარისია და ის 5 მლნ-დან 10 მლნ ლარამდე უნდა გაიზარდოს. მისივე შეფასებით, საჭიროა ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვასა და მათ დაავადებებთან დაკავშირებული პროგრამის დაფინანსების 8 მლნ 600 ათასი ლარიდან 11 მლნ ლარამდე გაზრდა, ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების პროგრამაზე გამოყოფილი ფინანსური რესურსის 175 ათასი ლარის 2 მლნ ლარამდე გაზრდა.**

„კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია, ეს შენიშვნები და რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნეს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარმოსადგენ გადამუშავებულ ბიუჯეტში“, — აღნიშნულია დასკვნაში.

მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის პირვანდელი ვარიანტი, რომელიც პარლამენტმა ჯერ მხოლოდ კომიტეტების ფარგლებში განიხილა, მთავრობას უკან დაუბრუნდა.

ნინო ევგენიძე

◎ კვალი დროში

ქართული ენერგეტიკის ერთგული მოამაგე

ღვაწლმოსილ ენერგეტიკოსს, ენერგეტიკულ-საინჟინრო საზოგადოებრიობის გამოჩენილ წარმომადგენელს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ რევაზ არველაძეს მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს 75 წელი შეუსრულდა.

ბატონი რევაზის მდიდარი შრომითი საქმიანობიდან აღსანიშნავია მისი მუშაობა საქართველოს მინისტრთა საბჭოში მრეწველობისა და ენერგეტიკის განყოფილების გამგის მოადგილედ, „საქმთავარენერგოს“ უფროსის მოადგილედ, შემდეგ პირველ მოადგილედ, სადაც იმუშავა 1990 წლამდე. 1990-1996წწ. მუშაობს საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. 1992-1993წწ. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრია. 1996-1997წწ. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის პირველი მოადგილეა. 1999-2004წწ. პარლამენტის წევრია. იგი არის საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტი, მეცნიერების, განათლების, მრეწველობისა და ხელოვნების საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, საერთაშორისო ენერგეტიკის აკადემიის ნამდვილი წევრი, ენერგეტიკის ეკონომისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, გაეროს ევროპის ეკონომიკური საბჭოს ექსპერტი, სამეცნიერო ტექნიკურ ჟურნალ „ენერგიის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. მრავალი საერთაშორისო კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილე, 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით და ვახტანგ გორგასალის მეორე ხარისხის ორდენით.

ბატონ რევაზის მიერ სამშობლოს სამსახურში მრავალმხრივ და წარმატებულ მოღვაწეობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია აფხაზეთის კონფლიქტისას მისი აქტიური მონაწილეობა უშუალოდ ბრძოლების დროს, როდესაც იგი პირადად ხელმძღვანელობდა ომით დაზიანებული მნიშვნელოვანი ენერგოობიექტების აღდგენით სამუშაოებს მისი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრად ყოფნის დროს.

ბატონი რევაზი გამორჩეულია თავისი პიროვნული მოქალაქეობრივი თვისებებით - კეთილი, კომუნიკაბელური, ამავე დროს პრინციპული და სამართლიანი, ურთიერთობებში თავმდაბალი, ინტელექტუალი - ასეთია იგი!

ბატონ რევაზს გულითადად ვუღოცავთ ღირშესანიშნავ თარიღს, ვუსურვებთ წარმატებებს სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში, დიდხანს სიცოცხლეს და მოღვაწეობას ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ!

ილია ელოშვილი, ამირან ზენაიშვილი, მარიამ ვალიშვილი, ირაკლი ხმალაძე, არჩილ ფრანგიშვილი, რევო მშვიდობაძე, ანზორ ჭითანავა, პაატა ცინცაძე, ირინა მილორავა, გია არაბიძე, სულხან ზუმბურიძე, მიხეილ ბოცვაძე, რომეო მიქაუტაძე, სერგეი კოგცევი, იაშა გოლძვაძე, ვაჟა მეტრეველი

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე

ღრმა პატივისცემითა და დიდი სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს — 75 წლის იუბილეს ამავე საზოგადოების წევრს, ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრს, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს, ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების სამეცნიერო ინსტიტუტის ყოფილ დირექტორს, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, ტექნიკური მეცნიერების დოქტორს, პროფესორს, ჭეშმარიტ მამულიშვილსა და უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ

რევაზ არველაძეს.

„თელასმა“ 2016 წლის ცხრა თვეში 12,8%-ით მეტი ელექტროენერგია მოიხმარა

კომპანია „თელასმა“ 2016 წლის ცხრა თვის ოპერაციული მაჩვენებლები გამოაქვეყნა. შედეგად ირკვევა, რომ 9 თვის მონაცემებით კომპანია „თელასმა“ 2 008 მილიონი კვტ/სთ ელექტროენერგია მოიხმარა, რაც 12,8% (227,8 მლნ. კვტ/სთ-ით) აღემატება 2015 წლის ცხრა თვის მოხმარების მოცულობას (1 780,2 მილიონი კვტ/სთ). ელექტროენერგიის მოხმარების მოცულობის მატება ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებამ და მომხმარებელთა რაოდენობის ზრდამ გამოიწვია.

სს „თელასის“ აბონენტთა რაოდენობა 2016 წლის ცხრა თვეში 2015 წლის იგივე პერიოდთან შედარებით 2,5%-ით (13,9 ათასი აბონენტით) გაიზარდა და 572,3 ათასი აბონენტი შეადგინა, საიდანაც 517,7 ათასი - ფიზიკური პირია, ხოლო 54,6 ათასი — იურიდიური პირი.

ვულოცავთ!

ყოველი წლის დაბადების დღეს ხელხვავიანი ხვდება პოეტი, პროზაიკოსი და ახალგაზრდა მეცნიერი

ციცინო ზურაბის ასული ბუკია.

2007 წელს მკითხველს ისტორიულ-ჰეროიკული რომანი-„გრძნეულთა ქალაქი“ უძღვნა.

2009 წელს კი -საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრია (პოეტი, პროზაიკოსი).

2010 წელს გურამ რჩეულიშვილის სახელობის პრემია — „ალავერდი„ (ხარისხი) მიიღო რომანისათვის-„ცისარტყელა ღრუბელში“.

2011 წელს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი ხდება.

2012 წელს დავით აღმაშენებლის პრიზის მფლობელი გახდა ისტორიული რომანის ჟანრის განვითარებისათვის, რომანისათვის —„გრძნეულთა ქალაქი“.

2013 წელს დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

2014 წლიდან კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ხდება.

ყოველ დაბადების დღეს ისეთ საჩუქარს უძღვნის საკუთარ თავს, რომ ჩვენ მხოლოდ კეთილი სურვილები გვრჩება.

ვულოცავთ ახალგაზრდა შემოქმედსა და მეცნიერს დაბადების დღეს და ვუსურვებთ მომავალი წლის 29 ოქტომბრისათვის პირადი ბედნიერებისათვის „მოეცალოს“ და სანიმუშო ქართული ოჯახი შექმნას. ამინ!

კოლეგები, მეგობრები, ახლობლები.

ფესტივალი „განდაგანა“ აჭარაში

სოფლის ტურიზმის ფესტივალ „განდაგანა“-ს ფარგლებში ევროპის მოედნიდან ქემალ თურმანიძის ეთნოგრაფიული მუზეუმისა და აგროსერვის ცენტრის ღვინის სახლის მიმართულებით იმოძრავებს უფასო ტრანსპორტი.

ქემალ თურმანიძის ეთნოგრაფიული მუზეუმი ხელვაჩაურში, ღია ცის ქვეშ 3000 კვ.მ.-ზეა განთავსებული. მასში აჭარის რეგიონის ყოფა-ცხოვრების და ტრადიციების ამსახველი ნივთები და მასალები 15-ზე მეტ თემატურ სივრცეშია წარმოდგენილი. მუზეუმში შესვლა დილის ათის საათიდან საღამოს 6 საათამდე იქნება უფასო. ქემალ თურმანიძე წლების განმავლობაში ქმნიდა და აჭარის სოფლებში აგროვებდა ყველა იმ ექსპონატს, რომელიც მუზეუმშია წარმოდგენილი. სტუმრებს მუზეუმში ფოლკლორ-შოუც ელოდებათ.



რაც შეეხება აგროსერვის ცენტრის ღვინის სახლს, ის ქობულეთში მდებარეობს. ღვინის სახლში სტუმრებისთვის წარმოდგენილი იქნება ერთსაათიანი სპეციალური პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ისინი ღვინის სახლში არსებულ ყველა სერვისს გაეცნობიან, მონაწილეობას მიიღებენ თონის პურის დაცხობასა და ჭაჭის გამოხდაში. სტუმრებისთვის გაიმართება ღვინის სახლში დამზადებული ღვინის დეგუსტაცია და საბძოლო ხელოვნების შოუ, რომელსაც „შავფაროსნები“ წარმოადგენენ.

ღვინის სახლში ტურისტებისთვის მრავალფეროვანი, საინტერესო და მიმზიდველი ინტერიერის შექმნის თვალსაზრისით ღვინისა და მასთან დაკავშირებული რეწვის ნიმუშების საგამოფენო დარბაზი, ენოთეკა და ეთნოგრაფიული კუთხეა განთავსებული. იქვე მოწყობილ სამუზეუმო კუთხეში ხიხანის ციხეზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალისა და ნივთების გაცნობა-დათვალიერებაა შესაძლებელი. სახლის საგამოფენო სივრცეში კი ღვინოსთან ერთად სტუმრებს საქართველოში წარმოებული პროდუქტები და სუვენირების დათვალიერება შეუძლიათ.

სოფლის ტურიზმის ფესტივალი „განდაგანა“ 28 ოქტომბერს ევროპის მოედანზე გაიმართება.

ულმაზეს ძველ და ახალ შუამთაში ტურისტული ინფრასტრუქტურა უმჯობესდება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა პირველ მოადგილესთან ილია დარჩიაშვილთან ერთად თელავის მუნიციპალიტეტში ძველი და ახალი შუამთის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

პროექტს, მუნიციპალური განვითარების ფონდი, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, რეგიონული განვითარების პროექტის ფარგლებში ახორციელებს.

რეაბილიტაციის ფარგლებში ძველი და ახალი შუამთის მონასტრებთან მოეწყო საინფორმაციო ცენტრები, სუვენირების მაღაზია, საზოგადოებრივი სანიტარული წერტილები და ობიექტებამდე მისასვლელი გზა. ასევე, დასრულებულია 200 მეტრის სიღრმის ჭაბურღილის რეაბილიტაცია. სამუშაოები 2015 წელს დაიწყო და მიმდინარე წლის დეკემბერში დასრულდება.

გულში გავლებული საზღვრები,

ანუ თურქულ პრიზმაში დანახული ბათუმი

„რა თქმა უნდა, ბათუმი საქართველოა, რიზე – თურქეთი და ასე იქნება სამომავლოდ“, – საქართველოში თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ზექი ლევენთ გუმრუქჩუს ასეთმა დამამშვიდებელმა ტონმა ვერ გადაფარა ერდოღანის ნათქვამი ბათუმის შესახებ.

ჩვენში დღემდე ბჭობენ, შემთხვევითი იყო თუ არა ამ რამდენიმე დღის წინათ რიზეს უნივერსიტეტში სიტყვით გამოსული ერდოღანის განცხადება, რომ ზოგიერთი ისტორიკოსის მოსაზრებით, 1920 წელს თურქეთის საზღვრების შესახებ მიღებული პაქტი მოიცავდა კვიპროსს, ალეპოს, მოსულს, ბათუმს, სალონიკს და სხვა ტერიტორიებს.

„თურქეთის 79 მილიონი მცხოვრების გარდა კიდევ არსებობს ასობით მილიონი ჩვენი ძმა, სხვა გეოგრაფიულ რეგიონებში, ვისთანაც გვაქვს ისტორიული კავშირები. არაერთი ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ თურქეთის საზღვრებში უნდა შედიოდეს კვიპროსი, მოსული, არბილი, კირკუტი, ბათუმი, თესალონიკი, კირძალი, ვარნა, დასავლეთ თრაკია და ეგეოსის კუნძულები“, – განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა და ამ სიტყვების შემდეგ ქართველებსაც დარჩათ საფიქრალი ერდოღანის გაზრდილი მადის შესახებ.

The Athens News Agency-ის ცნობით, ერდოღანმა რიზეს უნივერსიტეტში, ასევე, აღნიშნა, რომ „აღმოსავლეთ თრაკიის“ საკითხზე რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს“. მის ამ განცხადებასაც როგორც უცხოურ, ისე ქართულ მედიაში არაერთგვაროვანი ინტერპრეტაცია მოჰყვა.

ერდოღანის გზავნილი მით უფრო უცნაურია იმ ფონზე, როცა, გავრცელებული ინფორმაციით, ამ რამდენიმე ხნის წინათ თურქული ულტრანაციონალისტური ორგანიზაციის – „რუხი მგლების“ წევრები სარფს მოადგნენ და ეს ტერიტორია თავიანთი ქვეყნის ნაწილად გამოაცხადეს.

ამის მიუხედავად, თურქეთის ელჩი გვამშვიდებს, რომ თურქეთი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც არ არსებობს კითხვები საქართველოს საზღვრებთან დაკავშირებით. თუმცა დედის მხრიდან ლაზი ბებიის ყოლის მიუხედავად (ქართულ წარმომავლობას ერდოღანი პერიოდიულად მალავს, თუმცა იყო დრო, როცა ლაზებს მათ ენაზე მიმართავდა), ერდოღანის პათოსი სულ უფრო ემსგავსება დავუთოღლუს პათოსს, რომელიც დღეს თურქულ პოლიტიკას განსაზღვრავს. დავუთოღლუ ახალი თურქული დოქტრინის – „ნეოოსმანიზმის“ აქტიურ მიმდევრად ითვლება, რაც ეფუძნება რწმენას, რომ თურქეთს სწორედ ახლა გაუჩნდა შანსი, ისევ გახდეს იმპერია. ეს კი, თურქ ანალიტიკოსთა აზრით, სამოცდაათამდე ამჟამინდელ სახელმწიფოს მოიცავს.

სხვათა შორის, ეს ფაქტი დასავლეთის წრეებში უყურადღებოდ არ დარჩენიათ. ამგვარი მისწრაფების მიზეზებით თავის დროზე ბილ კლინტონიც დაინტერესდა თურქეთის მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრ აჰმედ დავუთოღლუსთან შეხვედრისას. საინტერესო იყო დავუთოღლუს პასუხი, „გაავლეთ რუკაზე ათასი კილომეტრის დიამეტრის წრე თურქეთის ირგვლივ – მასში ოცი ქვეყანა მოხვდება, გაავლეთ წრე 3000 კმ-ს რადიუსით – მასში 70 ქვეყანა მოხვდება. რამდენი ქვეყანა მოხვდება ანალოგიური წრის შიგნით აშშ-ის ირგვლივ? თურქეთს მხოლოდ საკუთარი სამეზობლო აინტერესებს“.

შემთხვევითია თუ არა ერდოღანის მიერ რიზეს უნივერსიტეტში წარმოთქმული სიტყვები?!

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** აცხადებს, რომ დიპლომატიაში შემთხვევით არაფერი ხდება, თურქეთი ხედავს, რომ საქართველოს შანსები ნატოსა და ევროკავშირში გაფერმკრთლდა და, სავარაუდოდ, ერდოღანი თვლის, რომ საქართველოს მოაკლდა მხარდამჭერები. რაც შეეხება 1920 წლის დოკუმენტს, სოსო ცინცაძის თქმით, ჩვენ კიდევ ერთხელ ვაბიჯებთ ფეხს ფოცხს, რადგან თავის დროზე არ ვაქცევთ ყურადღებას დიპლომატიურ თუ პოლიტიკურ ნიუანსებს, რის გამოც პასუხს ჩვენი შვილები აგებენ.

ასე მოხდა ოცი წლის წინათ, როდესაც შევარდნაძემ უვადოდ გააგრძელა 1920 წლის ხელშეკრულება თურქეთთან. მაშინ, როცა იქ არის ერთი კაბალური მუხლი, რასაც ეროვნული აღთქმა ეწოდება. ეს მუხლი ჯერ კიდევ ათათურქამდე მიიღო თურქეთის იმდროინდელმა მთავრობამ, სადაც გაცხადებული იყო, რომ ბათუმი და სხვა ტერიტორიები დედასამშობლოს-საქართველოს ნაწილია, მაგრამ, თუ ადგილობრივ მოსახლეობაში ეჭვს იწვევს ეს ამბავი, ჩვენ შეგვიძლია დავთანხმდეთ პლებისციტს. მოგვიანებით ათათურქმა ყველა კანონი გააუქმა, მათ შორის, წინა მთავრობის, ოტომანთა იმპერიის დროინდელი კანონებიც, მაგრამ 1920 წლის ხელშეკრულებაში მხოლოდ ეს „ეროვნული აღთქმა“ დატოვა.

ერდოღანის არ მიკვირს, ის ნეოოსმანისტია და არასდროს დაუმალავს თავისი პოლიტიკური განწყობა. რას ვერჩით ერდოღანს? შევარდნაძემ ხომ ამ ხელშეკრულებას უპრობლემოდ მოაწერა ხელი? მახსოვს, მაშინ პარლამენტში ამ ხელშეკრულების გაგრძელების წინააღმდეგი იყო კაკო ასათიანი, მაგრამ პოლიტიკა იყო ასეთი. 90-იანი წლები, ერთი მეგობარი არ გვყავდა, მთელი ჯართი თურქეთში გადიოდა, თურქეთის საქონელმა აავსო საქართველოს ბაზარი. მაშინდელ ხანმოკლე ინტერესებში ძალზე ადვილად იცვლებოდა ქვეყნის მომავალი“, – აცხადებს სოსო ცინცაძე.

ამასთან, ექსპერტი განმარტავს, რომ, ცხადია, თურქეთის ელჩი თავისი ქვეყნის ინტერესებს დაიცავს, ელჩი იმიტომ იღებს ხელფასს, რომ თეთრზე უნდა თქვას, შავიაო. თუმცა საკვირველია, რატომ დუმს ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო ისე, როგორც პარტიზანი დაკითხვაზე?! რატომ არ იბარებენ თურქეთის ელჩს? ეს ხომ მესიჯი იქნებოდა ერდოღანისთვის, რომ ფრთხილად იყოს ასეთ თემებთან დაკავშირებით, რას ჰქვია „შიდა მოხმარებისთვის“ გაკეთებული განცხადება, როცა მთელი 80-მილიონიანი თურქეთი უკვე დაიგეშა, რომ მათ პრეზიდენტს თურმე გულში ჰქონია საზღვრების გაფართოება და ამ საზღვრებში ბათუმიც თურმე თურქეთის ნაწილი ყოფილა?!

„საბერძნეთმა უკვე ოფიციალური პროტესტი განაცხადა ერდოღანის ნათქვამის გამო, ყველა ხმას იღებს ამაზე, მარტო ჩვენ ვართ ჩუმად, თანაც, საბერძნეთის არაფერი ემუქრება, ის ნატოს წევრია. ჩვენ რა გვეშველება?“

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ, ფაქტობრივად, ერდოღანმა დააფიქსირა ოსმანიზმის საგარეო პოლიტიკური დოქტრინა, რომელიც თავის დროზე დავუთოღლუმ ჩამოაყალიბა და განავითარა. ამ საგარეო პოლიტიკური კონცეფციის აღიარებად შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც ანატოლიის მთავრობის მიერ მართულმა პარლამენტმა, ეროვნულმა კრებამ ეს ტერიტორიები თურქეთის კუთვნილებად დააფიქსირა, რათა ერთა ლიგაში ამ სახით მომხდარიყო თურქეთის რესპუბლიკის აღიარება.

„1920 წელს მოსკოვში შესაბამისი შეთანხმება გაფორმდა, რომლის მიხედვითაც, ბოლშევიკურმა მთავრობამ აღიარა თურქეთის ეს „სამართლებრივი“ სახელმწიფო, ანუ ანატოლიის სახელმწიფო და, შესაბამისად, უკვე ბოლშევიკებიც აპირებდნენ, დაეთმოთ აჭარის ტერიტორია თურქებისთვის. თუმცა იქ გენერალ მაზნიაშვილის, მაშინდელი ქართველი მენშევიკებისა და მენშევიკური მთავრობის შეიარაღებული ძალების ერთობლივი ძალისხმევით მოხერხდა ამის თავიდან აცილება.

ჩვენმა პატრიოტებმა შეძლეს აჭარის გადარჩენა, დედასაქართველოსთან შემომტკიცება.

მანანა ნოზაძე

საქართველოსთან ურთიერთობის გაღრმავება ნატოს ინტერესებში შედის

საქართველოსთან პარტნიორობის გაძლიერება ძალიან მნიშვნელოვანია ნატოსთვის და საქართველოს უსაფრთხოებისთვის.

ამის შესახებ ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ბრიუსელში ნატოს ორდღიანი მინისტერიალის ფარგლებში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. ჟურნალისტის კითხვაზე, მიიღებს თუ არა საქართველო მონაწილეობას ნატოს შავი ზღვის ახალ სტრატეგიაში, სტოლტენბერგმა აღნიშნა, რომ ალიანსი შავი ზღვის რეგიონში საკუთარი ძალების გაძლიერების გეგმის დეტალებს თებერვალში გაასაჯაროვებს. სტოლტენბერგმა საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებზეც ისაუბრა. მისი თქმით, საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ჩატარდა, რაც იმის დადასტურებაა, რომ ქვეყანა დემოკრატიულ ინსტიტუტებს აძლიერებს.

* * *

ნატოს მოსკოვთან კონფრონტაცია არ სურს, თუმცა რუსეთის ქმედებებზე რეაგირება უნდა მოახდინოს. ამის შესახებ ალიანსის გენერალურმა მდივანმა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

იენს სტოლტენბერგის თქმით, რუსეთი მზად არის მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ ძალა გამოიყენოს, რის გამოც ნატოს წევრი ქვეყნები კანადა, გერმანია, ნიდერლანდები, პოლონეთი, თურქეთი და შეერთებული შტატები შავი ზღვის რეგიონში საკუთარი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების გაგზავნისთვის მზადყოფნას გამოთქვამენ.

ნატო ხელს შეუწყობს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას!

„ჩვენ მივესალმებით ნატოს მზადყოფნას აქტიურად იმუშაოს ვარშავის სამიტის გადაწყვეტილებების შესრულების კუთხით. ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრებმა, რომლებიც სამიტის შემდეგ პირველად შეიკრიბნენ, განიხილეს ალიანსის შიგნით ვარშავის გადაწყვეტილებების შესრულების საკითხები და ამ თვალსაზრისით გადასადგმელი ნაბიჯები.

როგორც ცნობილია, ალიანსმა ვარშავის სამიტზე გადაწყვიტა გაზარდოს სამხედრო ყოფნა აღმოსავლეთ ევროპასა და შავი ზღვის რეგიონში, ასევე ხელი შეუწყოს სტაბილურობის გავრცელებას მის საზღვრებს გარეთ და დაეხმაროს პარტნიორ და ასპირანტ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, თავდაცვისუნარიანობის და მდგრადობის გაძლიერებაში.

ჩვენ მივესალმებით ალიანსის სამხედრო ყოფნის და აქტივობების გაძლიერებას აღმოსავლეთ ევროპაში და განსაკუთრებით შავი ზღვის რეგიონში.

საქართველო, როგორც ნატოს ასპირანტი ქვეყანა, მხარს უჭერს ალიანსის ძალისხმევას, რომელიც მიმართულია საერთო ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების გასაძლიერებლად.

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება არის ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების განუყოფელი ნაწილი.

თავის მხრივ, საქართველო მზად არის განაგრძოს საკუთარი წვლილის შეტანა ევრო-ატლანტიკური სივრცისა და მისი განუყოფელი ნაწილის, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების განმტკიცებაში“ – განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

„მე ქართველი ვარ, საქართველოსთვის ვარ, ამის მეტი არაფერი ვიცი“

ქართველი ერის ისტორიას არაერთი ღირსეული მამულიშვილის სახელი ამშვენებს. ერთ-ერთი ასეთი გამორჩეულია თურქეთში ქართული ემიგრაციის წარმომადგენელი სიმონ პავლეს ძე ზაზაძე. სამწუხაროდ, საქართველომ, თურქეთის ქართველობამ უდიდესი დანაკლისი განიცადა მისი გარდაცვალებით. არიან ადამიანები, რომელნიც თავიანთი გარდაცვალებით აკლდებიან მთელ ერს. ასეთი გახლდათ ბატონი სიმონი.

სიმონ ზაზაძე დაიბადა თურქეთში მოღვაწე ქართველი მეცენატის პავლე ზაზაძის ოჯახში, სადაც ის გამოიწრთო სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით. მამასთან ერთად ერთგულ დარაჯად ედგა სტამბოლის ქართულ კერას, მის მდიდარ ბიბლიოთეკასა და სიძველეთსაცავს; დარაჯად ედგა იმ სავანეს, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნული სულისკვეთების აღორძინებას, ეროვნული თვითშეგნების გამოფხიზლებას უწყობდა ხელს. დღეს სტამბოლის ცენტრალურ უბანში – ფერიქოიში ქართული სავანე რომ დგას, მისი ბიბლიოთეკა რომ ხელუხლებლადაა შენახული, ბატონ სიმონ ზაზაძის დამსახურებაა.

სიმონ ზაზაძის ცხოვრების გზა მისაბაძი და სამაგალითოა. ამიტომაც ვცდილობთ თვალი, გადავავლოთ მას. მონასტრის არქივში ინახება 8 წლის სიმონ ზაზაძის ბარათი თავის მასწავლებელ შალვა ვარდიძისადმი. ბარათი სამშობლოს სიყვარულითაა გამთბარი: „მე ვარ პატარა ქართველი... მე საქართველო ჯერ არ მინახავს, რომ მისი სიტურფე ჩემი თვალით შევისწავლო, რომ დედაენის სილამაზე ჩემი ყურით გავიგონო და გულამდინ ჩამიტკბეს. სამშობლოს სილამაზის სიყვარულს თქვენ მასწავლით... დამაცადეთ, ცოტა კიდევ გავიზარდო, დედ-მამასთან ერთად ჩვენი მშვენიერი საქართველო მოვიარო, ჩემი თვალით ვნახო, ჩემი გულითაც გავიგო, რასაც დღეს წიგნში მაკითხებთ და მაშინ ნახავთ ჩემს ქართველობას, ჩემს ქართულ ლაპარაკსა და წერა-კითხვას, ჩემს მამულიშვილობას... თქვენი ეხლა დათესილი მაშინ გამოიღებს თავის ნაყოფსა და მდიდარ ნაყოფსაც“. ამას 1941 წლის 14 ივნისს წერს და აუხდა ნატვრა: კიდეც მოინახულა სათაყვანებელი სამშობლო, კიდეც იყო ჭეშმარიტი მამულიშვილი, დიდი ქართველი.

ზაზაძეების ოჯახი, მათი საქმიანობა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპის წამყვან ქვეყნებშია ცნობილი. ბატონი სიმონი სტამბოლიდან სამშობლო ქვეყნის მაჯისცემის მოყურადეა. მისი დამსახურებაა, რომ თბილისში ხშირად ჩამოდის და ურთულეს ოპერაციებს აკეთებს მსოფლიოში ცნობილი კარდიოქირურგი, პროფესორი აქსფენდიოს ქალანგოსი, შვეიცარიის მოქალაქე, სიმონ ზაზაძის სიძე. სწორედ სიმონ ზაზაძის დაინტერესებით მოხერხდა თბილისში კ. ერისთავის სახელობის ქირურგიის ეროვნულ ცენტრში კარდიოქირურგიის კლინიკის „ღია გულის“ გახსნა.მისი მზრუნველი ხელი სწვდებოდა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში ემიგრანტ ქართველთა მიერ დაარსებულ კულტურის კერებსაც. წლების განმავლობაში აფინანსებდა „ბედი ქართლისას“ ქართულ და ფრანგულენოვან ნომრებს. მამა-შვილი პავლე და სიმონ ზაზაძეები, ეხმარებოდნენ საზღვარგარეთ არსებულ სხვა პერიოდულ გამოცემებსაც – „კავკასიონი“, „პრომეთე“, „გუშაგი“, „საქართველოს გუშაგი“, „თეთრი გიორგი“, „თავისუფალი საქართველო“ და სხვა. ბატონი სიმონი ფინანსურად ხშირად ეხმარებოდა, აგრეთვე, სტამბოლში გამომავალ ჟურნალებს – „ჩვენებურებსა“ და „ფიროსმანს“.

2006 წელს, თავის ისტორიულ სამშობლოში სტუმრობისას, ახალციხის უნივერსიტეტმა ის საპატიო დოქტორად აირჩია, ხოლო ახალციხის მხარემ – საპატიო მოქალაქედ. ბატონი სიმონის სტუმრობა ახალციხეში გადაიქცა საერთო-სახალხო ზეიმად. სიმონ ზაზაძე არჩეული იყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის, აგრეთვე, ბათუმისა და ქუთაისის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორად. იყო საქართველოს საპატიო მოქალაქე და ღირსების ორდენით დაჯილდოებული.

ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება, რომ პირადად ვიცნობდით ამ დიდ ადამიანს, ქველმოქმედს, საქართველოს მოსიყვარულე-მოამაგეს. სიბრძნით გამორჩეული ბრძანდებოდა ბატონი სიმონი. მისი სიბრძნე აშკარად გამოსჭვივოდა უდიდეს თავმდაბლობასა და მოკრძალებაში. ამ მართლაცდა რკინისებური პიროვნების მიღმა უდიდესი რიდი და უბრალოება იმალებოდა. ამაშიც კიდევ ერთხელ ხაზგასმით ჩანდა მისი დიდი ადამიანობა. მის იერსახეს უდიდესი სათნოება ამშვენებდა. ის სულიერი თვისებებით გამორჩეული პიროვნება გახლდათ. ფაქიზი, მოწესრიგებული, ღრმა აზრიანი სულიერი სამყაროთი მდიდარი ქართველი. იგი კეთილი, გულმოწყალე კაცის სახელით დააბიჯებდა მრავალმილიონიანი ქალაქის ყოველდღიურობაში.

რთულია, ატარო კარგი ადამიანის სახელი. დიახ, მისი მისამართით თამამად იტყვიან ნაცნობ-მეგობრები, რომ ნამდვილად იყო გამორჩეული და დიდბუნებოვანი. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ცნობილ ბიზნესმენს, ჰ ქონდა ეკონომიკის დარგში დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, მაგრამ ეს არაფრად ჩანდა იმ დიდ ღირსეულ და რთულ პროფესიასთან, რომელსაც ბატონი სიმონი დაუფლებოდა – ეს პროფესია მისი დიდი ადამიანობა გახლდათ. ის ადამიანთა სულის შემსწავლელი დიდი ხელოვნების მფლობელიც ბრძანდებოდა. ეს ხელოვნებაც ისევ და ისევ ჭეშმარიტი ადამიანობა იყო. მისი ადამიანობით, კეთილი გულით სხვასაც ათბობდა, უანგაროდ გასცემდა სითბოს გარშემომყოფებს, აძლიერებდა მათ და ეხმარებოდა. იმაზე მშვენიერი და ამაღლებული რა უნდა იყოს, რომ მრავალ ადამიანს მიანიჭო ბედნიერება. ბევრს ძალუძს სხვისთვის სიხარულის მინიჭება, ხელის გაწვდენა, მაგრამ არ აკეთებს ამას. ბატონი სიმონი კი ყველასათვის იყო მხსნელი, მშველელი, დროზე მისწრებული მალამო. სხვისი სიხარულით ტკბობის უნარი ბედნიერს ხდიდა. უფალი ერთეულებს დაანათლებს ხოლმე ასეთ რჩეულობას.

ბევრის მთქმელი იყო მისი სიტყვა, ქცევა და საქმე. მისი მოქმედებით ბევრის სწავლა შეიძლებოდა. მის მდუმარებაშიც რაღაც უიშვიათესი სიდიადე ჩანდა. ბევრს ისწავლიდა კაცი მისგან. ნათქვამი იქნებ ვინმეს გადაჭარბებული შექება მოეჩვენოს, მაგრამ არა იმას, ვინც იცნობდა ბატონ სიმონს. ის ცხოვრებისეული წიგნი იყო, რომელიც უნდა წაგვეკითხა და მთავარია, სწორად გაგვეგო.

იმაზე მშვენიერი და ამაღლებული რა უნდა იყოს, რომ მრავალ ადამიანს მიანიჭო ბედნიერება. ბევრს ძალუძს სხვისთვის სიხარულის მინიჭება, ხელის გაწვდენა, მაგრამ არ აკეთებს ამას. ბატონი სიმონი კი ყველასათვის იყო მხსნელი, მშველელი, დროზე მისწრებული მალამო. სხვისი სიხარულით ტკბობის უნარი ბედნიერს ხდიდა. უფალი ერთეულებს დაანათლებს ხოლმე ასეთ რჩეულობას.

წლების სიმძიმეს არ ეპუებოდა. აქტიური ყოველდღიურობით ცოცხლობდა. ალიონს ასწრებდა გაღვიძებას. მისი სამუშაო დღე 5 საათიდან იწყებოდა. შრომის სიყვარული, შრომის მადლი და გარჯა მშობლებისაგან მიეღო.

მშობლები იყვნენ მისთვის მაგალითის მიმცემნი. შრომას მიჩვეული სხვისგანაც ბოლომდე გახარჯვას ითხოვდა. სტამბოლის ქართულ სავანეში ექსპედიციით ყოფნისას ყოველდღე დილაადრიან მოგვინახულებდა, მოგვიკითხავდა, მრავალგზის გაგვიმეორებდა – რამე ხომ არ გინდათო. შემდეგ ჩქარობდა, საყდარში მივდივარო. ყოველი დილის 8 საათზე მოკრძალებით შეაბიჯებდა საყდარში (ამ ძველ ქართულ სიტყვას იყენებდა მუდამ), აანთებდა სანთელს, ილოცებდა და ისე მიდიოდა სამსახურში. მამისგან ნაანდერძევი ჰქონია ეს ჩვევაც. ჩქარობდა მოხუცი, საყდრისკენ მიიჩქაროდა. იქ ხომ მამის სახე ცოცხლდებოდა მის წარმოსახვაში. მამის, პავლე ზაზაძის სიცოცხლის ბოლო პერიოდზე აი რას ყვებიან: ლოგინად ჩავარდნამდე თითქმის ყოველდღე მიდიოდა ტაძარში, ლოცულობდა, დაობლებული, დაცარიელებული მონასტრის კარებს კრძალვით შეაღებდა, მონაზონთა საცხოვრებელ ოთახებში შეიხედავდა, სავანის ბიბლიოთეკაში ჩამოჯდებოდა თავის შვილიშვილთან პავლე (პოლ) ზაზაძესთან ერთად და საქართველოს შესახებ ესაუბრებოდა. იქიდან ნაღვლიანი თვალებით გადახედავდა ფერიქოის. ეამაყებოდა ისიც, რომ წმ. ექვთიმეს მსგავსად ერთგულად დარაჯობდა უცხოეთში შენახულ ქართულ საუნჯეს. სიამაყით გადახედავდა ხოლმე ახალციხის სოფლებიდან ჩამოტანილი ხეხილის ნერგებით შემოსილ მონასტრის ბაღს.

აი, კიდევ რატომ ჩქარობდა ყოველდღიურად საყდრისაკენ ბატონი სიმონი. იქ თავადაც ოცნებით მამის სულს გაესაუბრებოდა: ამით ივსებოდა, ისრუტავდა ძალას, მშობლიურ ფესვებთან სიახლოვეს უცხო ქვეყანაში ამით ახერხებდა და ეს აძლიერებდა ბატონ სიმონს.

მამა ძალიან გონიერი, მოხერხებული, გამბედავი, სიმართლისმოყვარე, თავაზიანი, წესრიგიანი, შრომისმოყვარე, ნამდვილი ქართველი იყოო.–უდიდესი სიყვარულით ყვებოდა ლამაზ მოგონებებს ბატონი სიმონი მამაზე.

ბატონი სიმონი გულთბილი მასპინძელი, თანამშრომლობაში საოცრად თბილი და უანგარო ბრძანდებოდა; ასე დაგვამახსოვრდა ის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს. ქალბატონი შუშანა ფუტკარაძე მისთვის ის ერთადერთი პიროვნება და მეცნიერი იყო, ვისაც მამის ანდერძის თანახმად, ანდო ქართული სავანის წიგნთსაცავის შესწავლა. ქალბატონი შუშანას ხელმძღვანელობით წლების განმავლობაში ყოველწლიურად ჩავდიოდით სტამბოლში ბატონ სიმონთან ქართული საქმის საკეთებლად. სწორედ ქალბატონი შუშანას თაოსნობით ასწლოვანი მტვრისგან განთავისუფლდა ბიბლიოთეკის საგანძური და თანამედროვე დონეზე მოეწყო ბიბლიოთეკა. ამ თანამშრომლობას ხომ მასთან სტამბოლის უკიდეგანო სივრცეში ჩაჰქონდა მშობლიური სურნელი.

დღეს, სამგლოვიარო დღეებში, თვალწინ ცოცხლდება თუ რა სიყვარულით, სათუთად და მოკრძალებით ელოლიავებოდა წიგნთსაცავის თითოეულ ფურცელს ბატონი სიმონი. თითოეული ფურცელი მოგონებებად ცოცხლდებოდა მის ცნობიერებაში,. პატარაობიდანვე იქ ტრიალებდა. იგი საუბრებში ხშირად იგონებდა იქაურ პირობებს: როგორ აჩვევდნენ წესრიგს, სიფაქიზეს, ზრდილობას. ახსოვდა აღმზრდელ-მასწავლებლები, ეკლესია-მონასტრის ირგვლივ დიდი ყანები, ბაღები იყოო. ქათმები, ბატები, ინდაურები ჰყავდათ მონაზვნებსო. – იგონებდა ბატონი სიმონი. ხანდახან პატარა წიწილებს ჩუქნიდნენ თურმე. მისი ყოველდღიურობა, სავანე ცხოვრების ნაწილი და უცხო ქვეყნის ცის ქვეშ ერთგვარი ნავსაყუდელიც იყო, სულის საოხად იქ მიდიოდა. იქ მსუბუქად ადგამდა ფეხს, თითქოს შორიდან ქართული მიწის მოფერებას იქ გრძნობდა, მონასტრის ცივი კედლები სამშობლოს სიყვარულზე ეჩურჩულებოდნენ, ქართული სიტყვა იქ, სავანეში ესმოდა, ეროვნული სულისკვეთებით იქ იმსჭვალებოდა.

ჩვენი საქმიანობა დიდ და ლამაზ ურთიერთობაში გადაიზარდა. ბატონი სიმონი ხშირად გვმასპინძლობდა თავის ლამაზ ოჯახში. ჩვენ იქ პატარა საქართველო ვიყავით მისთვის, ჩვენით ხარობდა, აცნობდა ჩვენს თავს საზოგადოებას და ხარობდა მოხუცის გული. განსაკუთრებული, ძმური სიყვარულით და უდიდესი სითბოთი ხვდებოდა ქალბატონ შუშანას. ულამაზესი იყო ეს ურთიერთობანი. რამდენჯერ ვმსხდარვართ მისი სახლის აყვავებულ ეზოში, თბილ საუბარსა და მოგონებებში საათები წამივით იპარებოდა, ვერ ველეოდით ერთმანეთს. მასთან ერთად ხარობდა მისი უკეთილშობილესი მეუღლე ქალბატონი ქლაუდე. ეს ახლა ლამაზ მოგონებებად რჩება, ერთგვარ ნუგეშად, სამშობლოს გულწრფელი სიყვარულის მაგალითად..

სიმონ ზაზაძის პიროვნებაში განცხადდა ქართული გენის სიძლიერე, მისი უკვდავება. ზაზაძეების ოჯახმა თავისი ეროვნული მეობა და მრწამსი ვაჟკაცურად გამოატარა წუთისოფლის ქარტეხილებს; უცვლელად, თავდაუზოგავად შეინარჩუნა ლამაზი გვარი – **ზაზაძე** და თავისი სულიერება. ვინ იცის, ეს გზა რა ეკლიანი იყო; მაგრამ ყოველივეს გაუძლო, დაძლია და დღეს მთელმა თურქეთმა იცის ამ მისაბაძი პიროვნების ქართული გვარი – ზაზაძე. ამიტომაცაა დასაფასებელი და სათაყვანო მისი პიროვნება, მისი დიდი ქართველობა. მტკიცედ გვჯერა, რომ მამის კვალს გაჰყვება მისი ოჯახი, მისი ძვირფასი ვაჟი ბატონი **პავლე (პოლ) ზაზაძე** და გააგრძელებს სიცოცხლეს ქართული გვარი – ზაზაძე მრავალმილიონიან დიდ ქვეყანაში, ჩვენს კარის მეზობელ თურქეთის რესპუბლიკაში, თურქი და ქართველი ხალხის კეთილმეზობლური, მეგობრული ურთიერთობის სიმბოლოდ.

კიდევ ერთხელ დიდ გულისტკივილს გამოვხატავთ ასეთი დიდი ქართველის გარდაცვალების გამო. თანავუგრძნობთ ბატონი სიმონის ოჯახს, თურქეთში მცხოვრებ ქართველობას და საქართველოს. უფალმა ნათელი დაუმკვიდროს ბატონ სიმონ ზაზაძის სულს, ამინ!

როინ მალაყმაძე,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის დოქტორი;

ელზა ფუტკარაძე,
ფოლკლორის დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი.

◎ საფეხბურთო მოზაიკა

კახა ცხადაძეს კონტრაქტი გაუგრძელეს

ალმათის „ქაირათმა“ კახა ცხადაძეს სამი წლით გაუგრძელა კონტრაქტი. 48 წლის ქართველი სპეციალისტი შედეგიანად მუშაობს. მიმდინარე სეზონში „ქაირათმა“ მისი თავკაცობით 21 მატჩი მოიგო და ყაზახეთის ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი „ქაირათს“ აპრილის დასაწყისში ჩაუდგა სათავეში და ამ წლის ბოლომდე ჰქონდა ხელშეკრულება, ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე კი ცხადაძის გუნდი შოთა არველაძის თელ-ავივის „მაკაბისთან“ დამარცხდა.

ისინი ლა ლიგაში არასდროს გაუძევებიათ

ცნობილმა ესპანურმა გამოცემა Marca-მ იმ 10 მოთამაშის სია გამოაქვეყნა, რომელთაც ლა ლიგაში 100 მატჩზე მეტი აქვთ ჩატარებული და ამ დროის განმავლობაში წითელი ბარათი არასდროს მიუღიათ.

აღნიშნული სია ასე გამოიყურება:

ჯუზეპე როსი (159 მატჩი), გაისკა ტოკერო (162 მატჩი), ბენიატ ეჩებერია (164 მატჩი), ტიაგო მენდეში (168 მატჩი), კარლოს ველა (213 მატჩი), ქარიმ ბენზემა (222 მატჩი),ანტუან გრიზმანი (224 მატჩი), რუბენ კასტრო (246 მატჩი), ლიონელ მესი (355 მატჩი), ანდრეს ინიესტა (394 მატჩი).

ჯექსონ მარტინესით „ნაპოლი“ დაინტერესდა

იტალიური „ნაპოლი“ კოლუმბიის ნაკრებისა და „გუანჯოუ ევერგრანდეს“ თავდამსხმელით ჯექსონ მარტინესით მოიხიბლა — იუწყება ცნობილი საფეხბურთო გამოცემა Goal.Com-ი.

ნეაპოლური კლუბი 30 წლის ფორვარდის სამსახურით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც მისმა მთავარმა პოლონელმა მეგოლემ არკადიუშ მილიკმა მძიმე ტრავმა მიიღო.

ჯექსონს ჩინურ კლუბთან კონტრაქტი 2019 წლამდე აკავშირებს და 14 მილიონ ევროდაა შეფასებული.

გიორგი შოთაძე

◎ ლეგიონერი

სანაძემ ისევ გაიბრწყინა

დუდა სანაძემ სლოვენიის ჩემპიონატში ჩინებული მატჩი ჩაატარა. საქართველოს ეროვნული ნაკრების კალათბურთელის შედეგიანი თამაშის წყალობით „პრიმორსკამ“ კრკა სტუმრად 80:78 დაამარცხა.

ქართველმა ლეგიონერმა სლოვენიის ჩემპიონატის მეოთხე ტურში ლიდერ გუნდთან 27 ქულა მიითვალა. დუდა სასტარტო შემადგენლობაში არ გახლდათ, თუმცა, მოედანზე 25 წუთამდე გაატარა. ამ ხნის განმავლობაში სანაძემ 5-დან 4 ორქულიანი გამოიყენა, ბოლო მატჩებისგან განსხვავებით კი სამქულიანები კარგად ესროლა და 10 მცდელობიდან მიზანში 5 წაუვიდა.

სანაძე შეუჩერებელი გახლდათ და მასზე 8-ჯერ დაჯარიმდნენ, ხოლო 7 საჯარიმო სტყორცნიდან დუდამ 4 გამოიყენა. ქართველმა 4 მოხსნა და 1 პასი მიითვალა, ორჯერ კი ბურთი დაკარგა. სანაძის მარგი ქმედების კოეფიციენტი 22 გახლდათ, რაც ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო შედეგი იყო.

ამრიგად, „პრიმორსკას“ 4 მატჩის შემდეგ 3 მოგებით და 1 წაგებით 7 ქულა დაუგროვდა და პირველ ადგილზეა. მომდევნო შეხედრას სანაძის გუნდი შინ „პოლზელასთან“ 5 ნოემბერს გამართავს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

ბასილაშვილი ავსტრიულ ტურნირს გამოეთიშა

საქართველოს ნომერ პირველი ჩოგბურთელი ავსტრიაში მიმდინარე Erste Bank Open 500-ის 1/8-ფინალში რუს კარენ ხაჩანოვთან 2:6, 5:7 დამარცხდა. შეხვედრა საათსა და 17 წუთს გაგრძელდა.

პირველ სეტში ნიკა უშანსოდ იყო, ხოლო მეორე პარტიაში სამწუხარო მარცხი განიცხადა: ბასილაშვილი 5:2-ს იგებდა და თავის ჩაწოდებაზე 40:30-ზე სეტ-პოინტი ჰქონდა, რა დროსაც ნიკამ ზედიზედ ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა და მიყოლებით შემდეგ 5 გეიმი წააგო. ქართველმა ჩოგბურთელმა 40 უნებლიე შეცდომა დაუშვა, ხოლო ხაჩანოვმა — მხოლოდ 20.

ბასილაშვილმა საბოლოოდ ავსტრიული ტურნირიდან 45 სარეიტინგო ქულა და 25 335 ამერიკული დოლარი გამოიმუშავა.

შეგახსენებთ, რომ ავსტრიული ტურნირის 1/16-ფინალში ნიკოლოზმა რეიტინგის მე-10 ნომერი ტომაშ ბერდიხი 6:4, 6:7, 7:5 დაამარცხა.

ბადრი იაშვილი

◎ რაგბი

შოტლანდიამ გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა

შოტლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვერნ კოტერმა 31-კაციანი გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა, რომლითაც 2016 წლის ნოემბრის ტესტ-მატჩებზე ავსტრალიის, არგენტინისა და საქართველოს ნაკრებების წინააღმდეგ ითამაშებს.

ივნისში იაპონიასთან ტოკიოში გამართულ ორ მატჩთან შედარებით გუნდში 4 ახალი სახე და ხუთი ცვლილებაა.

გუნდს ემატებიან ბურჯი ზენდერ ფაგერსონი, რომელიც ზაფხულში შოტლანდიის 20-წლამდელთა ნაკრების ღირსებას მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატზე იცავდა და ერთხელ ეროვნულ გუნდშიც უთამაშია და ცენტრი მარკ ბენეტი, რომელმაც რიოს ოლიმპიურ თამაშებზე დიდი ბრიტანეთის ნაკრების შემადგენლობაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. ტრავმა მოიშუშა და ნაკრებს უბრუნდება „ედინბურგის“ მეორეხაზელი გრანტ გილკრისტი, ხოლო უკანახაზელი ჰემიშ უოტსონი ისეთ ფორმაშია, ახალზელანდიელი სპეციალისტი მას ყურადღების მიღმა ვერ დატოვებდა.

შოტლანდიის ნაკრებს უბრუნდებიან „ჰარლიქუინსის“ გარემარბი ტიმ ვისერი და „გლაზგო უორიორსის“ სამეული — ფინ რასელი, ალექს დანბარი და რობ ჰარლი. შოტლანდიის ნაკრებში პირველად ითამაშებს „ედინბურგის“ 24 წლის ბურჯი ალან დელი, რომელიც სამხრეთაფრიკელია და ამ ქვეყნის 20-წლამდელთა ნაკრებშიც უთამაშია. მას ტრავმირებული ვილემ ნელისა და რორი საზერლენდის შემცვლელად უხმეს. სხვა ცვლილებებიდან აღსანიშნავია „გლოსტერის“ ცენტრის მეტ სკოტის არყოფნა.

„მოთამაშეთა ამ ჯგუფისთვის უმნიშვნელოვანესი პერიოდი დგება. მათი ვალდებულებაა, რომ მომავალი თამაშები წარმატებით ჩაატარონ და განწყობაც შესაბამისია. საკუთარი გულშემატკივრის წინაშე განსაკუთრებით კარგად ვთამაშობთ და მათ სამი საუცხოო ბრძოლა ელოდებათ. როგორც ყოველთვის, აქცენტი მარტივ რაგბიზე, თანმიმდევრულობის შენარჩუნებაზე გაკეთდება და ამ ყველაფერს დაემატება მცირედი დეტალები, რათა მეტოქეებს სიახლეები შევთავაზოთ და გაუმჯობესება გავაგრძელოთ“ — განაცხადა კოტერმა.

12 ნოემბერს შოტლანდია ავსტრალიას მასპინძლობს, რომელთანაც შარშან მსოფლიო თასის მეოთხედფინალში მსაჯის მიერ ბოლო წუთზე დაშვებული შეცდომის გამო 34:35 დამარცხდა. 19 ნოემბერს სქოთები მსოფლიო თასის ნახევარფინალისტს არგენტინას შეხვდებიან და ორივე ეს თამაში „მარიფილდზე“ ჩატარდება. შოტლანდია საქართველოს 26 ნოემბერს კილმარნოკში „რაგბი პარკ-

ზე“ მიიღებს და ეს იქნება ამ გუნდების პირველი, ისტორიული ტესტ-მატჩი შოტლანდიის მიწაზე. ეროვნული ნაკრებების დონეზე საქართველო შოტლანდიას 2011 წლის მსოფლიო თასზე ეთამაშა, ლელო არ გაუშვა და მისაღები სხვაობით — 6:15 დამარცხდა.

ტრავმების გამო შოტლანდია ნოემბერში შემდეგ მორაგბეებს მოისაკლისებს: ადამ ეში, კევინ ბრაისი, დევიდ დენტონი, რაიან გრანტი, ვილემ ნელი, რორი საზერლენდი და დუნკან ვეირი.

კოგა კოგახიძე

◎ შეუცნობელი

პორტრეტი დროში

მაინც რატომაა, რომ მეტ-ნაკლებად შეძლებული ხალხიც კი (განსაკუთრებით მდიდრებსა და, მით უმეტეს, სამეფო გვარების, არისტოკრატიის წარმომადგენლებზე ხომ აღარაფერს ვამბობ!) თავიანთ სადარბაზო პორტრეტებს უკვეთავენ თავისი დროის ცნობილ, ნიჭით გამორჩეულ ფერმწერებს?

ბუნებრივია, რომ ამას არა მხოლოდ იმიტომ აკეთებენ, რომ შთამომავლებს მრავალი ათწლეულისა და, გნებავთ, საუკუნის შემდეგ ამ ფერმწერთა შემოქმედებითი ტკბობის შესაძლებლობა ჰქონდეთ ამაში, არამედ, როგორც ჩანს, რაღაც გარკვეული მნიშვნელოვანი საკრალური მომენტია, რაც არაერთი გარემოებით დასტურდება. დიდ მხატვართა დღემდე შემორჩენილი პორტრეტული შედევრები ხომ არა მარტო ოდესღაც მცხოვრებ ადამიანთა გამოსახულებებია, თუმცა კი, რაღა თქმა უნდა, ამას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ყველამ ხომ კარგად ვიცით, რომ დაბადებისას, ისევე, როგორც მშობლებსა და სოციალურ სტატუსს ვერც ერთი ადამიანი ისევე ვერ ირჩევს, როგორც ვერ ირჩევს ქვეყნად მოვლენის დროს, რომელშიც თითოეული ჩვენგანი ცხოვრობს და შემდეგ კვდება. ამიტომაც, თავისუფლად შეიძლება ვთქვათ, რომ **ნებისმიერი მხატვარი პორტრეტის შექმნისას, კაცის ფიზიკურ თავისებურებებთან ერთად, დროის ერთგვარ სურათსაც ხატავს**. ტილოსა და საღებავების მეშვეობით მნიშვნელოვანი და, გარკვეულწილად, მარადიული ინფორმაცია გადაიცემა, რომელიც, მეცნიერთა მტკიცებით, დროსა და სივრცეში არ იკარგება, კაცობრიობამ კი, უბრალორდ, ამ ფასდაუდებელი „ბიბლიოთეკის“ მოხმარება ჯერჯერობით ვერ ისწავლა.

იმას, რომ ხელოვნების ჭეშმარიტ ნიმუშებს, იდუმალ უძველეს ნაგებობებსა და მისტიკის შარავანდედით მოცული სხვა ობიექტების თავიანთი განსაკუთრებული ცხოვრება აქვთ, რომლის ჭეშმარიტების დანახვის საშუალებას სანსკრიტული „მაიას ფარდა“ არ გვაძლევს, უამრავი მაგალითი მოწმობს.

ცოტა ხნის წინათ, ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზში ცნობილი მხატვრის, პორტრეტისტის ნიკას საფრინოვის ნამუშევართა გამოფენა მოეწყო. ვერნისაჟის დახურვის შემდეგ მუზეუმის დარბაზები დალუქეს, ვიდეოთვალთვალის კამერა ჩართეს და... დილით დაცვის გაოგნებულმა წევრებმა თავად მხატვარსა და მუზეუმის მესვეურთ აჩვენეს, რომ მთელი ღამის განმავლობაში პორტრეტებს შორის იდუმალი თეთრი ენერგეტიკული ბირთვები დაფრინავდნენ... გაოცებული მხატვარი კი შემდეგ ყვებოდა, რომ მსგავსი რამ ზოგიერთ სხვა მუზეუმში, ასევე ეგვიპტურ პირამიდებსა და სხვა საკრალურ ადგილებში ხდება...

რა არის ეს – ოდესღაც მცხოვრებ ადამიანთა სულების „კონტაქტები“ თუ წარსული დროის გაუშიფრავი გზავნილები შთამომავლობას, არავინ იცის.

ოთარ ტურაბელიძე

სანთელი

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის „საზოგადოება ცოდნის“ თანამშრომლები და პროფესორ-მასწავლებლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან „ცოდნის“ მთავარი რედაქტორის, განუმეორებელი პიროვნების

ნოდარ ზედელაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ახლობლებს.

ახლო მეგობრები ნუგზარ წერეთელი, გურამ გეგეშიძე, ნიკო ლეონიძე, ტარიელ ჩიგოგიძე, გობრონ წერეთელი, ზურაბ ლომიძე, ვოვა ცინცაძე, ტარიელ სტურუა, ალექსი ჭედია, გოგი არაგი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სიკეთითა და პატიოსნებით ცნობილი პიროვნება, საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

ნოდარ ზედელაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახის წევრებს.
პანაშვიდი 28 X, 16სთ. გამოსვენება 29. X. 14სთ.
მისამართი: უზნაძის 12 (ყოფილი კამოს ქუჩა)

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება კოლეგის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ მთავარი რედაქტორის

ნოდარ ზედელაშვილის

გარდაცვალებას.

◎ ტრანსპორტი

დამარცხდებიან „მემარჯვენეები“?

მარჯვენასაჭიანი მანქანების ბიზნესს ძალიან ცოტა დრო რჩება

მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვამდე ძალიან ცოტა დრო რჩება. ავტობიზნესში ჩართული ადამიანები ორ საგარაუდო თარიღს ასახელებენ - 2017 წლის 1 იანვარი ან 1 მარტი. მყიდველები უკვე პასიურობენ. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ გაისად შეზღუდვა აუცილებლად დაწესდება.

იმპორტიორები ცდილობენ, მიმდინარე წელსვე მოასწრონ ავტომობილების იმპორტი, რადგან ვარაუდობენ, რომ მარჯვენასაჭიანი და საჭეგადატანილი მანქანების რეგისტრაციის აკრძალვა მანქანების გაძვირებას და მათზე მოთხოვნის შემცირებას გამოიწვევს.

ავტოდილერი ლევან ჩიქვანაია აღნიშნავს, რომ ადრე მარჯვენასაჭიანი ავტომობილები საკმაოდ კარგად იყიდებოდა, ახლა კი, კლიენტები ამ მანქანებს ნაკლებად ეტანებიან.

„ვინც ტარება იცის, მარჯვენასაჭიან მაქანასაც კარგად ატარებს და მარცხენასაჭიანსაც. აიკრძალება თუ არა, ჯერ ამის შესახებ ინფორმაცია არა გვაქვს. ფაქტია, რომ ეს მანქანები მხოლოდ საქართველოში იყიდება, რადგან მათი რეგისტრაცია მეზობელ ქვეყნებში დაშვებული არ არის, ამიტომ მათ არც აზერბაიჯანელები ყიდულობენ, არც უკრაინელები და არც რუსები, იქ მათ ქვეყნებში ასეთ მანქანებს არ აფორმებენ, თუნდაც მძღოლმა საჭე მარცხნივ გადაიტანოს.

შესაბამისად, ამ ავტომობილებს ძირითადად ქართველები ყიდულობდნენ, რადგან მათი ფასი მარცხენასაჭიანი მანქანებთან შედარებით იაფია: 3500 დოლარად რომ შეიძენთ ნორმალურ მარჯვენასაჭიან მანქანას, 5000 მარცხენასაჭიანში უნდა გადაიხადოთ. ამ ეტაპზე მარჯვენასაჭიანების შეძენას უკვე საქართველოს მოქალაქეებიც ერიდებიან“, – უთხრა „ბიპიენს“ ლევან ჩიქვანაიამ.

საქართველოს საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი შალვა ოგბაიძე მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების რეგისტრაციის აკრძალვას არ ეთანხმება, თუმცა აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას უსაფრთხოებისათვის საჭირო სხვადასხვა ცვლილებაზე ამახვილებს ყურადღებას.

მისი თქმით, ქვეყანაში, სადაც მარჯვენამხრივი მოძრაობაა, პრობლემას ქმნის მარჯვენა და მარცხენასაჭიანი ავტომობილების ერთობლიობა. საქართველოში კი, არსებული ინფრასტრუქტურა მოწყობილია მარცხენასაჭიანი ავტომობილებისთვის.

მარჯვენასაჭიანი მანქანების აკრძალვაზე საუბარი საქართველოში 2015 წლის ბოლოს დაიწყო, როდესაც პარლამენტში ახალი კანონპროექტი შევიდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ინიცირებული კანონპროექტი მარჯვენასაჭიანი და საჭეგადატანილი მანქანების რეგისტრაციის აკრძალვის საგარაუდო თარიღად 2017 წლის 1 იანვარს ასახელებდა. კანონპროექტის ავტორები დღესაც იმედოვნებენ, რომ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვა მოძრაობას განტვირთავს და უსაფრთხოებას ხელს შეუწყობს.

მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 75% გზის მარჯვენა მხარეს მოძრაობს. ამ ტიპის ქვეყნებში მოძრაობისთვის მარცხენასაჭიანი ავტომობილებია განკუთვნილი. მარჯვენასაჭიანი ავტომობილებით გადაადგილდებიან იაპონიაში, დიდი ბრიტანეთში და მისი ყოფილ კოლონიებში.

იმ ქვეყნებში, სადაც მარჯვენამხრივი მოძრაობაა, მარჯვენასაჭიანი მანქანების ყიდვაზე, იმპორტსა თუ რეგისტრაციაზე სხვადასხვა სახის შეზღუდვები და აკრძალვებია დაწესებული, თუმცა ევროკავშირის ზოგ ქვეყანაში მსგავსი სახის შეზღუდვა მოქმედებს.

საქართველო არაა ერთადერთი ქვეყანა, რომელშიც მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვის საკითხი დადგა დღის წესრიგში. თავის დროზე ამ ტიპის გადაწყვეტილების მიღება სხვადასხვა სახელმწიფოს მოუხდა. მაგალითად, სლოვაკეთში, პოლონეთში, ხორვატიასა და სერბეთში მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაცია 2012 წლიდანაა აკრძალული. 2015 წლის მაისიდან არსებულ ჩამონათვალს ბრაზილიაც შეემატა. ლიტვასა და უკრაინაში აღნიშნული ავტომანქანების რეგისტრაცია დაუშვებელია 1993 წლიდან. მარჯვენასაჭიანების რეგისტრაცია ფილიპინებზეც აკრძალულია, რეგულაციები მოქმედებს შვედეთშიც.

ბექა დანელია

სანთელი

უახლოესი მეგობრები ფრიდონ ინჯია, ავთანდილ იაშვილი, კოტე სამუშია, თეიმურაზ ღოღობერიძე, თეიმურაზ ბერიშვილი, მამია სულაბერიძე, ნუგზარ კვიკვინია, ვახტანგ თოდუა, დარეჯან ჭარბაძე, ამირან შალამბერიძე, იზო გოცირიძე, დემურ ინჯია, რემი გველესიანი იუწყებიან კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების სამსახურის ყოფილი უფროსის

მზია ნარმანიას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ოჯახსა და ახლობლებს ჩვენი ღირსეული კოლეგის, სულით და ხორცით ლამაზი, ზნეობით და პასუხისმგებლობის გრძნობით გამორჩეული

მზია ნარმანიას

გარდაცვალების გამო.

განცხადება

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

◎ მსოფლიოს სიახლენი

მოსკოვმა თხოვნა უკან წაიღო

რუსეთის გამო ესპანეთს ნატოს დანარჩენი წევრები დაუპირისპირდნენ. საქმე რუსულ სამხედრო გემებს ეხება. სირიის მიმართულებით მცურავმა სამხედრო გემებმა საწვავის შევსების თხოვნით ესპანეთის პორტ სეუტას მიმართეს. მადრიდის მზადყოფნამ, პორტში რუსული ფლოტის გემები შეეშვა, ნატოს უკმაყოფილება გამოიწვია. ალიანსის რეაქციას უკვე მოჰყვა ოფიციალური მოსკოვის რეაქცია. რუსეთმა გემების საწვავით მომარაგების მოთხოვნა უკან გაიწვია.

იტალიას მიწისძვრები მიეჩვია

იტალიაში მიწისძვრის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა. ამის შესახებ ადგილობრივი მედია იტყობინება. გავრცელებული ინფორმაციით, 63 წლის მამაკაცი ტოლეტინოში გულის შეტევით გარდაიცვალა. სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღო მცირეწლოვანმა ბავშვმაც, რომელიც, სავარაუდოდ, კედლის ჩამონგრევისას დაშავდა. 6,1 მაგნიტუდის მიწისქვეშა ბიძგები იტალიაში გვიან ღამით, პერუჯადან 58 კილომეტრში დაფიქსირდა. ვრცელდება ინფორმაცია 8 დაშავებულის შესახებ, რომლებსაც სამედიცინო დახმარება უკვე აღმოუჩინეს.

იდლიბში სკოლა დაბომბეს

სირიის პროვინცია იდლიბში სახელისუფლებო ძალებისა და რუსეთის ავიაციის მიერ მიტანილ იერიშებს მშვიდობიანო მოსახლეობა ისევ ეწირება. ავიადარტყმები ამჯერად დასახლებულ რაიონზე განხორციელდა. რამდენიმე ჭურვი ადგილობრივი სკოლის ტერიტორიაზე ჩავარდა, რასაც 26 ადამიანი ემსხვერპლა. დაღუპულთა უმრავლესობა ბავშვები არიან.

ვენესუელაში პრეზიდენტის გადადგომას ითხოვენ



მორიგი ანტისახელისუფლებო აქცია ვენესუელაში მასობრივ არეულობებში გადაიზარდა. კარაკასსა და ქვეყნის დიდ ქალაქებში ასობით ათასი ადამიანი ქუჩაში გამოვიდა. აქცია პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა, რის შედეგადაც 20-მდე ადამიანი დაშავდა. სამ მათგანს ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები აღენიშნება. პოლიციამ 40-მდე დემონსტრანტი დააკავა.

ნახევარ საუკუნეში ცხოველების რაოდენობა განახევრდა

1970-დან 2012 წლამდე მსოფლიოში ცხოველების რაოდენობა 58%-ით შემცირდა. საგანგაშო სტატისტიკას მსოფლიოს ველური ბუნების ფონდი (WWF) აქვეყნებს.

ფონდის ანგარიშის თანახმად, თუ ეს ტენდენცია გაგრძელდება, 2020 წლისთვის ფაუნის შემცირების მაჩვენებელი 67 %-მდე გაიზრდება.

ექსპერტები განმარტავენ, რომ ცხოველების პოპულაციის შემცირებას ადამიანის საქმინობას უკავშირდება. ძუძუმწოვრების, ფრინველების, თევზების, ამფიბიებისა და რეპტილიების რაოდენობის შემცირების მიზეზებად გარემოს დაბინძურება, კლიმატის ცვლილება სახელდება.

ყველაზე მეტად შემცირდა იმ ცოცხალი არსებების რაოდენობა, რომლებიც ტბებში, მდინარეებსა და ჭაობებში ბინადრობენ.

„წვიმის გამყიდველი“

ჩარლზ ჰეტფილდი – ადამიანი, რომელსაც წვიმა მოჰყავდა

ჩარლზ ჰეტფილდს შეერთებულ შტატებში „წვიმის გამყიდველის“ სახელით იცნობდნენ. 1902 წელს მან საიდუმლო სითხე შექმნა, რომლის დახმარებითაც წვიმა მოყავდა. ჯადოსნური სითხის დასამზადებლად ის 23 სხვადასხვა ნივთიერებას იყენებდა. სითხეს გიგანტურ კასრებში ასხამდნენ. ატმოსფეროში შერევის შედეგად ის წვიმას იწვევდა.

ჰეტფილდმა სითხის რეკლამირება დაიწყო, თუმცა კალიფორნიელი ფერმერები მის ახალ გამოგონებას სკეპტიკურად შეხვდნენ. ამის გამო ჩარლზმა თავის ძმა ბობთან ერთად ხის კოშკი ააგო, რომლის სახურავზეც გიგანტური კასრი დადგა და საჯარო ექსპერიმენტი ჩაატარა. შედეგმა არ დააყოვნა. გვალვით შეწუხებულმა ფერმერებმა სასწაული საკუთარი თვალით იხილეს.

წვიმის გამყიდველზე ჭორები კალიფორნიაში ელვის სისწრაფით გავრცელდა. 1915 წელს ჩარლზმა ხელი 10-ათასიან კონტრაქტს მოაწერა და სან-დიეგოელებს წყალსაცავის ამოვსებას დაჰპირდა. ამჯერად შედეგმა მოსალოდნელს გადააჭარბა. სან-დიეგოში მოსულმა წვიმამ არათუ არხი ამოავსო, არამედ დასახლებული რაიონები დატბორა. სტიქიამ 20 ადამიანი იმსხვერპლა. წვიმით მიყენებულმა ზარალმა 3,5 მილიონ დოლარს გადააჭარბა, რის გამოც ჩარლზი სასამართლოში დაიბარეს. კალიფორნიის სასამართლომ ჰეტფილდი იმ მოტივით გაამართლა, რომ ადამიანს ბუნებრივი მოვლენების მართვა არ შეეძლო.

ამის შემდეგ ჩარლზის პოპულარობა იმდენად გაიზარდა, რომ მას დახმარება ჰონდურასის ხელისუფლებამ სთხოვა. ჯამში ჰეტფილდმა 500-ზე მეტი წარმატებული ექსპერიმენტი ჩაატარა.

ბიზნესი გამომგონებელს 30-იანი წლების ეკონომიკურმა კრიზისმა ჩაუშალა. მისი შემოსავლები იმდენად შემცირდა, რომ ბოლოს საკერავი მანქანების გაყიდვით ირჩენდა თავს.

ჰეტფილდი 1958 წელს გარდაიცვალა. საიდუმლო ფორმულა მან საფლავში ჩაიყოლა. სკეპტიკოსები მის მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტებს დღემდე არარეალურად მიიჩნევენ და ირწმუნებიან, რომ ექსპერიმენტის მოწყობამდე ის რეგიონის კლიმატს დაწვრილებით სწავლობდა.

◎ ინტერნეტიდან

ალისიამ თავი გაგვახსენა

იტალიელ მოდელს ალისია ვენტურას, პიპო ინძაგის ცოლობისას კობრი თევზივით ჰქონდა მუდმივად დაფჩენილი პირი ჭორებისა და ტყუილ-მართლის საყბედად და ახლა, როდესაც მასთან „ყვითელი“ მოკალმეები შედარებით იშვიათად მიდიან, შანსს არ უშვებს ხელიდან რაიმე სკანდალური რომ არ ამოაგვირისტოს.

ამასწინათ ფილიპოს ნაცოლარს ჟურნალისტებთან უთქვამს, ამ ბოლო წლების განმავლობაში ვეტერანმა იტალიელმა შემტევმა რამდენჯერმე სცადა ჩემთან შემორიგება, მაგრამ „რაც შეიტანა, ისევ იგი გამოიტანა იმ სახელგანთქმულმა კაცმა ჩემი გულიდან და საძინებლიდანაო“.

არავინ იცის, მართალია ეს ყველაფერი თუ არა და ისიც რთული სათქმელია, საერთოდ როგორი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა ამ წყვილს განშორების შემდეგ, მაგრამ ბულვარული მედიის რუზრუზა ხალხმა კარგად უწყის, რომ თვითპიარი და ჭორთმოყვარეობა ერთგვარი დაავადებაა და მისი განკურნების მეთოდი ჯერ არავის მოუგონია.

როსტომ რაჭველიშვილი

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4080; ევრო - 2.6303;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 2.9385;
100 რუბლი - 3.8679; თურქული ლირა - 0.7810;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4515;
1000 სომხური დრამი - 5.0641.

ამინდი 28 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +1,	დღე +18
მთიანი რაიონები -	ღამე -2,	დღე +17
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +6,	დღე +20
მთიანი რაიონები -	ღამე +2,	დღე +17
თბილისი:	ღამე +3,	დღე +17

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE